ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 28 მარტი, 2019 №73 (8027) ფასი: 60 თეთრი

მალხაზ კობაურს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს

მსჯავრდებულის დედა და დეიდა ცუდად გახდნენ გვ.7

26 მარტიდან

ირეოდიონ ევდოშვილი

რჩეული მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილი სახალხო შინაპატიმრობაში ავიყვანოთ“

გვ.2

დავით მაღრაძე და „ოცნებაზე“ განაწყენებულები საქართველოს დასაცავად ერთიანდებიან

„მთაწმინდა შეიძლება რუსთაველზე ჩამოწვეს“

გვ.3

გიორგი მშვენიერაძე: „თუ რამე დანაშაული არსებობს, ბესელიას გუშინ და გუშინწინაც უნდა ელაპარაკა“

გვ.4

გვ.2

გედევან ფოფხაძე: „კობახიძე ივანიშვილს 6 დეპუტატის გარიცხვას სთხოვდა“

„ტვერელის ეკლესიისთვის ძირის გამოთხრას ხელისუფლება უწყობს ხელს“

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძეს მერია „მილანის“ გასახდელი ჰგონია“

სამართალი გვ.7

ეკა ბესელიას კადრების გავრცელებისთვის 19 წლის მირიან მჟავანაძე დააკავეს

ტაქსის მძღოლს მგზავრის გაუპატიურებისთვის 8 წელი მიესაჯა

თამარ ლომიძის მკვლელობის მცდელობისთვის შმაგი დოლიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ბექა ხახუბიას საქმეზე 2 პატრულს პატიმრობა მიუსაჯეს, 1 კი გაათავისუფლეს

ეკონომიკა გვ.6

ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების პროექტით ორი კომპანია დაინტერესდა

„ამ ფულს მთავრობა გაფლანგავს და მერე გვეტყვის, დიდი ბოდიშიო!“

ლია ელიავა საპენსიო რეფორმას უნდობლად უყურებს გვ.3

საბანკო სექტორის 12 სერვისცენტრი დაიხურა გვ.6

ISSN 1987-9385

5 კრემლი ხაჯიმბას განურისხდა? რატომ იმართლებენ თავს სოხუმში

4 ნინო წილოსანი: „შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს ინსტრუქციებზე საუბრისას“

5 „ოცნება“ მთაწმინდას თუ წააგებს, 2020-ში ძალიან გაუჭირდება“

4 მამუკა გვაძაბია: „ნატოს აინტერესებს, რამდენად არის რუსეთი საქართველოში შემოსული“

შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილი სახალხო შინაპატიმრობაში ავიყვანოთ“

დავით მაღრაძე და „ოცნებაზე“ განაწყენებულები საქართველოს დასაცავად ერთიანდებიან

შორენა მარსაგიშვილი

აპრილი პოლიტიკურად ნამდვილად ცხელი იქნება. სიცხეები არც ზამთარსა და მარტში მოგვკლებია, მაგრამ გვპირდებიან, რომ აპრილი იქნება სასწაული.

ორმა ორგანიზაციამ სააპრილო ღონისძიება უკვე დააანონსა. 11 აპრილს ლეიბორისტები მიადგებიან ივანიშვილის სახლს, 13 აპრილს კი ივანიშვილზე და „ოცნებაზე“ განაწყენებულები დარაზმავენ ერს.

11 აპრილის აქცია ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა გუშინ, 27 მარტს, რუსთაველის გამზირზე დააანონსა.

მშრომელთა პარტიამ რუსთაველზე ტაქსისტების მხარდასაჭერად გამართა აქცია. აქციას ტაქსის მძღოლებიც შეუერთდნენ. ისინი ერთად აპროტესტებდნენ იმ რეგულაციებს, რაც მერიამ დააწესა.

აქციაზე სამართალდამცავებთან შეხლა-შემოხლაც მოხდა, რომლის დროსაც აქციის ერთ-ერთი მონაწილე სერიოზულად დაშავდა. ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ქვეყნის მთავარი ლეიბორისტი მიიჩნევს, რომ ყველა უბედურების სათავე ივანიშვილია და ამიტომაც მომდევნო აქცია სოლოლაკში გაიმართება.

– 11 აპრილს ბიძინა ივანიშვილს მივადგეთ სასახლეში და სახალხო შინაპატიმრობაში ავიყვანოთ, – მიმართა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა პარლამენტთან მიმდინარე აქციის მონაწილეებს.



ივანიშვილის სასახლესთან აქციის მოწყობას ჯერ არ გეგმავენ, მაგრამ „ოცნებაზე“ და მის ლიდერზე განაწყენებულები ფართომასშტაბიანი ფრონტის გახსნას აპირებენ.

ყოფილმა მეოცნებემ, პოეტმა დავით მაღრაძემ, ერს 13 აპრილს გარეთ გამოსვლისკენ მოუწოდა.

მისი განცხადებით, 13 აპრილს მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ საგანგებო შეკრება გაიმართება.

როგორც მაღრაძემ გუშინ, 27 მარტს, გამართულ ბრიფინგზე თქვა, მოძრაობაში მიიღებენ ყველას, ვინც მზად არის თავისუფლებისთვის ბრძოლაში მიიღოს მონაწილეობა.

– მათ, ვინც განსაცდელში ინარჩუნებდით ღირსებას და მათ, ვინც მომავალში ღირსებით ცხოვრებას აპირებთ, შემოგვიერთდით 13 აპრილს, 14:00 საათზე ფილარმონიაში, „დაიცავი საქართველოს“ საგანგებო შეკრებაზე.

ნაციონალური მოძრაობა წარსულს უარყოფს, „ოცნებამ“ კი მომავალი უარყო. შევეცადოთ, შევქმნათ ასპარეზი ახალი ქართული მომავლისთვის, რომელსაც მეხსიერებაც ექნება და პერსპექტივაც, – აღნიშნა მაღრაძემ.

მისივე თქმით, ეს არ იქნება მხოლოდ საორგანიზაციო შეკრება და ის ფილარმონიაში ფართო საზოგადოებას იწვევს.

– განსაკუთრებით მინდა ყურადღებით მოეკიდოს ამას ჩვენი ახალგაზრდობა, რადგან ეს მოძრაობა წარმომიდგენია, როგორც თავისუფლებისთვის ბრძოლის ესტაფეტა, რომლის დროშაც ჩვენმა შემდგომმა თაობამ უნდა ატაროს. მინდა გისურვოთ, რომ გათენდეს თავისუფალი დღე საქართველოში, – განაცხადა დავით მაღრაძემ.

გედევან ფოფხაძე: „კობახიძე ივანიშვილს 6 დეპუტატის გარიცხვას სთხოვდა“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ და ირაკლი კობახიძის გარშემო სკანდალი სკანდალზე გორდება. უმრავლესობიდან წამოსული გედევან ფოფხაძე პარლამენტის თავმჯდომარის შავ სიას ასაჯაროებს. დეპუტატის მტკიცებით, ირაკლი კობახიძე ივანიშვილს სთხოვდა დახმარებას, რომ პარტიიდან 6 კაცი გაერიცხა.

„ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატის თქმით, შარშან გაზაფხულზე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნდებოდა, მასთან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ის, ზაზა პაპუაშვილი და ნუკრი ქანთარია.

მედიასთან საუბარში ფოფხაძე აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამ შეხვედრაზე განაცხადა, რომ მას ირაკლი კობახიძე 6 დეპუტატის გარიცხვას სთხოვდა და მათ შორის იყვნენ როგორც შეხვედრის მონაწილეები, ასევე რომან კაკულია, ლევან კობერიძე და დავით ჭიჭინაძე.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებს ნუკრი ქანთარია, მაგრამ არც უარყოფს. ჯერ კიდევ „ოცნებაში“ დარჩენილი არ გამორიცხავს, რომ ფოფხაძეს ეს სკანდალური ინფორმაცია სხვა წყაროებიდან ჰქონდა მიღებული.

– ბატონ ბიძინას შევხვდით, მაშინ ის არ იყო მოსული პოლიტიკაში. შევხვდით წმინდა ახლობლური თვალსაზრისით, როგორც დამფუძნებელთან და ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. მაგრამ მე არ მახსენდება ახლა ნამდვილად, რომ მან გვითხრა, აი კობახიძე მეუბნება, რომ თქვენ გასარიცხ სიაში ხართო. არ არის გამორიცხული იმიტომ, რომ მახსოვს, კობახიძე ტელევიზიით ამბობდა, რომ ამ ხალხს რაღაც პარტიული სასჯელი უნდა დაეკისროს თუ რაღაც ამდაგვარს.

ახალ ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ იქ რომ ამაზე ყოფილიყო საუბარი, ამას ვერ დავადასტურებ, იმიტომ, რომ მართლა არ მახსენდება. შეიძლება გედიმ სხვა წყაროდან ეს იცის და ეს არ იყო მაშინ გამორიცხული, იმდენად მწვავე იყო ურთიერთდაპირისპირება, – აღნიშნავს ქანთარია.

გასულ წელს აქტიურად საუბრობდნენ, რომ რომან კაკულიაც უნდა გაერიცხათ „ოცნებიდან“. კაკულიას ფოფხაძის სკანდალური განცხადების კომენტირება არ სურს და ამბობს, რომ ირაკლი კობახიძესთან კარგი ურთიერთობა აქვს. ამასთან აღიარებს, რომ შავმა კატამ მათ შორისაც ჩაირბინა.

– როდესაც მქონდა გარკვეული უთანხმოება, ტელევიზიას ეხებოდა ეს, მის სასარგებლოდ მინდა ვთქვა, რომ მან მოახერხა ის, რასაც ბევრი ვერ ახერხებს, რომ ეს კონფლიქტი ისე გავიარეთ, ჩვენ შემდგომ ურთიერთობას არ დასტყობია. ამას ბევრი ხელმძღვანელი ვერ ახერხებს, – განაცხადა მედიასთან საუბარში ქანთარიამ.

სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა „ოცნების“ დეპუტატმა მამუკა მდინარაძემაც. მისი თქმით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ივანიშვილი ეკა ბესელიას პარტიულ სიაში ჩასმას არ აპირებდა.

ამაზე „ოცნებაში“ 2016 წლის გაზაფხულზე ბევრი იჭორავეს. ჭორები კიდევ უფრო გააქტიურდა, რაც ფოთის მაჟორიტარად ბესელია აღარ დაასახელეს.

მდინარაძის გავრცელებულ ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს დეპუტატი სოფო კილაძე.

– მეც მაქვს ინფორმაცია, რომ 2016 წელს ბიძინა ივანიშვილი აძლევდა რეკომენდაციას მაშინდელ ხელმძღვანელობას, რომ ეკა ბესელია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში არ ყოფილიყო, – უთხრა ჟურნალისტებს კილაძემ.

საგანგებო განცხადება გააკეთა თავად ეკა ბესელიამაც. ის მორალურ ტერორზე ალაპარაკდა და მედიას მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, თუ მორალური ზღვარი წაიშალა, წალეკავს ყველაფერს და სხვაგვარად აიზილება ტყუილ-მართალი, კეთილი და ბოროტი.

– დაუცველობის განცდა უჩნდებათ ადამიანებს, როდესაც ხედავენ, რამდენჯერ განხორციელდა პირადი სივრცის ხელყოფა, უკანონო ჩანაწერების გავრცელება და ისევ არ ჩანს ამ ყველაფრის ორგანიზატორი... მაგრამ მაშინვე ჩნდებიან საჯარო კომენტარებით მათიკაშვილ-ოხანაშვილ-კილაძეები.... (ყველას გვარს რა ჩამოთვლის... კოლექტიური ტერორისტები) მათი კომენტარები ისეთი ამაზრზენია, რომ განცდა გრჩება, ამ მორალური ტერორის მონაწილეები თავადაც არიან.... უხარიათ... ვერ მალავენ შურისძიების სურვილს, ვერ ახერხებენ ასეთ დროს მაინც თავშეკავებას თავდასხმისგან.

მედიას მინდა ვთხოვო ისევ, მათ დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე: ნუ შეუწყობთ ირიბად და უნებლიეთაც კი – განმეორებით ვიქტიმიზაციას ხელს და ნუ მისცემთ საშუალებას მორალურ ტერორისტებს, საჯაროდ განახორციელონ ეს ბოროტება... კითხვა დაუსვით კილაძეს, როცა დახურულ მასალებს ასაჯაროებს ღია ეთერში, საიდან უნდა ჰქონდეს მოწმეს ეს მასალები ნანახი, როცა ამის უფლება არა აქვს კანონით და რატომ არ რეაგირებს საგამოძიებო უწყება, როდესაც საჯაროვდება დახურული მასალები?

აღარაფერს ვამბობ ამ სიცრუის და ცილისწამების დაუსრულებელ სერიალზე, რაც მოედინება... არ ვთვლი პასუხის ღირსად მათ, ვისაც არა აქვთ ღირსება!!! დაე, საზოგადოებამ განსაჯოს, დაინახოს, გააცნობიეროს, რა ხდება და სახელი დაარქვას! მე მინდა გაჩვენოთ, რომ ქალის დამარცხება ამ მეთოდებით შეუძლებელია – როცა ის იბრძვის სიმართლისა და სამართლიანობისთვის! მე მინდა დაიჯეროთ, რომ შეუძლებელია გატეხო ქალი, როცა ის იბრძვის სხვათა დასაცავად და სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის!!! მე ვეცდები, ეს საკუთარი მაგალითით დაინახოთ და დაიჯეროთ! იოლია? – არა! არაა იოლი, მაგრამ შესაძლებელია! ადამიანის ღირსება მის არჩევანშია! მე ბევრი წლის წინ გავაკეთე ეს არჩევანი თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის!

მჯერა, რომ მარტო არა ვარ და ბევრნი ვართ! – წერს ბესელია სოციალურ ქსელში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მთაწმინდა შეიძლება რუსთაველზე ჩამოწვეს“

შორენა მარსაგიშვილი



ლევან ხაბეიშვილი: „კალაძეს მერია „მილანის“ გასახდელი ჰგონია“

დედაქალაქის მერიის კურთხევით, სამშენებლო კომპანიამ ტვერელის ეკლესიას ძირი გამოუთხარა. საზოგადოების და ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, მშენებლობა არ ჩერდება. სამშენებლო კომპანიას ჯერ მერის მოადგილე ილია ელოშვილი გადაეფარა ამბრაზურასავით, გუშინ, 27 მარტს კი, მათი დაცვა საკუთარ თავზე აიღო კახა კალაძემ.

ტვერელის ეკლესიისთვის ძირის გამოთხრის ოპერაციის მოწინააღმდეგეთა რიგებშია საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი. ეს უკანასკნელი კალაძეს სერიოზულად უშლის ხელს და ნერვებს. დეპუტატმა გადაწყვიტა, რომ დედაქალაქის მთავრობის სხდომას დასწრებოდა.

ხაბეიშვილს რომ ასეთი სურვილი გაუჩნდებოდა, ამას კალაძე მიხვდა და მის შესაჩერებლად თადარიგი დაიჭირა – მერიაში მას დაცვის ცოცხალი კედელი დაახვედრა.

დეპუტატი მართალია მთავრობის სხდომაზე ვერ შევიდა, მაგრამ ტვერელის ეკლესიისთვის ბრძოლას მაინც გააგრძელებს.

ჩემგან განსხვავებით, ჩემმა კოლეგამ ლილე ლიპარტელიანმა შეძლო მთავრობის სხდომაზე შესვლა. მას კალაძის მოადგილემ, ილია ელოშვილმა უთხრა, ინვესტორმაც რა ქნას, 40%-იან მოგებაზე მიდის მხოლოდო. ერთი გამაგებინეთ, ეს ელოშვილი ამ სამშენებლო კომპანიის მეწილეა, ბუღალტერი თუ კალაძის მოადგილე? საიდან და რატომ იცის, რამდენი პროცენტი მოგება დარჩება ინვესტორს.

რატომ არ შეუშვეს ის მთავრობის სხდომაზე, რატომ არა აქვს თბილისის მერს ნერვები მწყობრში, რა საფრთხე ემუქრება დედაქალაქს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ კალაძის მიერ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– კახა კალაძე ჩემ დანახვაზე აშკარად ისტერიკაში ვარდება. იცის, რომ მთავრობის სხდომას თუ დავესწრები, სხდომა სხვანაირად ჩატარდება. როცა იქ არ ვარ, კამერების წინ გააკეთებს რაღაც განცხადებებს, მერე კამერებს გარეთ გამოუშვებს და შინაურულად მიმდინარეობს სჯა-ბაასი.

მე მათ მართლა დისკომფორტს ვუქმნი, ვსვამ კითხვებს, ვიღებ, თუ რა ხდება მთავრობის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც კამერები გარეთ გამოდიან. გადაღებულ მასალას ვასაჯაროებ. სწორედ ეს არ მოეწონა დედაქალაქის მერს.

იცით, რატომ არ მოეწონა? იმიტომ, რომ კამერების წინ ხომ არის კალაძე, კამერების მიღმა ის ხდება კალიაძე და კარგად ჩანს ხოლმე მისი ნამდვილი სახე.

27 მარტსაც შეეშინდა, რომ მთავრობის სხდომაზე რამე კითხვას დავუსვამდი და ის ისტერიკაში ჩავარდებოდა. ამიტომ ასეთი რამე მოიფიქრა, რომ მხოლოდ ერთ დეპუტატს შეუშვებდნენ სხდომაზე. იქ მხოლოდ ლილე ლიპარტელიანი შეუშვეს.

თბილისის მერს ჩემ მიმართ ღიად გამოხატული აგრესია აქვს. ალბათ ყველას გახსოვთ მისი ცნობილი განცხადება, ხაბეიშვილი მთაწმინდიდან გამოექანოსო.

– ამ განცხადებამდე ერთი წლით ადრე ნაძვის ხეზე გიპირებდათ დაკიდებას.

– არ მიკვირს, ასეთი აგრესია რომ აქვს ჩემ მიმართ. ჩვენი აქტიურობის შედეგად, მას რაღაც გადაწყვეტილებების უკან წაღება მოუწია. წერეთელზე მიდიოდა მშენებლობა, ვიბრძოლეთ და დღეს იმ ადგილას სკვერია გაშენებული.

მერე იყო მისი მეგობარი ბექა ოდიშარიას მშენებლობა თაბორის მთაზე. ვიბრძოლეთ და მერია იძულებული გახდა, ეს მშენებლობა შეეჩერებინა.

27 მარტს მერიაში ტვერელის ეკლესიის საძირკვლის გამოთხრის საქმეზე მივედით. კონკრეტული მასალები და საბუთები მივიტანეთ. საქმიანი საუბარი გვინდოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვეცა.

მერმა მთავრობის სხდომაზე წარმოადგინა სურათი და გვითხრა, რომ მშენებლობა რომ დასრულდება, ეკლესია მაინც გამოჩნდებაო. რაც უფრო ზემოდან გადაიღებენ ამ ფოტოს, უკეთესად გამოჩნდება ტვერელის ეკლესია.

მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეკლესია აღარ გამოჩნდება და ეს თავად სამშენებლო კომპანიის მიერ შექმნილი ესკიზიდან ჩანს. ეს სურათი მერიაში მისვლამდე წარმოვადგინე და თქვენც მოგცემთ, რომ გაზეთის მკითხველმა ნახოს, რასთან გვაქვს საქმე.

დეველოპერული კომპანიის მიერ ოფიციალურ გვერდზე ატვირთულ ფოტოზე კარგად ჩანს, რომ ეკლესია დაიკარგებოდა. ამ მასალის წარმოდგენას ვაპირებდი მთავრობის სხდომაზე, რაც კალაძის ისტერიკაში ჩავარდნას გამოიწვევდა.

ეგ ბიჭი რაღაცებზეც არის დაბოღმილი, ცუდ ხასიათზე იყო, კამათის თავი არ ჰქონდა და ამიტომაც არ დამიშვეს სხდომაზე.

– რაზეა დაბოღმილი?

– გუნდის შიგნით უამრავი პრობლემა აქვს. ამაზეა მაგარი დაბოღმილი. თან მაგას მერიის შენობა ხომ სამტრედიაში შემოღობილი ეზო და „მილანის“ გასახდელი ჰგონია, სადაც, მისი აზრით, რასაც უნდა იმას გააკეთებს.

კალაძემ უნდა გაიგოს, რომ ის მერია და არა ყოჩი, რომ მაგან გადაწყვიტოს, ვის შეუშვებენ მერიაში და ვის არა. ამას კანონი არეგულირებს.

ჩემი იქ არშეშვება არც მნიშვნელოვანია და არც ტრაგედიაა. მთავარი იმ მშენებლობის გაჩერებაა, რომელიც ახლა მთაწმინდაზე მიმდინარეობს.

ამ მშენებლობას თუ არ შევაჩერებთ, ერთ მშვენიერ დღეს მთაწმინდა ჩამოწვება და რუსთაველზე, მაკდონალდთან ჩამოვა.

იმ ზონაში, სადაც ახლა მშენებლობა მიდის, ერთხელ უკვე მოხდა უბედური შემთხვევა. მიწა ჩამოწვა და „კალონკა“ ჩაიტანა. ამ მიწის ჩამოწოლას ადამიანიც ემსხვერპლა.

მერიის არგუმენტების მიუხედავად, ამ მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდება. ეკლესიას უკვე გამოუთხარეს საძირკველი, ხვალ შეიძლება მთელი მთაწმინდა ჩამოწვეს.

ჩემგან განსხვავებით, ჩემმა კოლეგამ ლილე ლიპარტელიანმა შეძლო მთავრობის სხდომაზე შესვლა. მას კალაძის მოადგილემ, ილია ელოშვილმა უთხრა, ინვესტორმაც რა ქნას, 40%-იან მოგებაზე მიდის მხოლოდო.

ერთი გამაგებინეთ, ეს ელოშვილი ამ სამშენებლო კომპანიის მეწილეა, ბუღალტერი თუ კალაძის მოადგილე? საიდან და რატომ იცის, რამდენი პროცენტი მოგება დარჩება ინვესტორს.

– ნიჭიერი ბიჭია და გაიგო.

– ნიჭიერება არაფერ შუაშია. ამ მშენებლობით მერიაა დაინტერესებული. ამიტომ იციან, რამხელა მოგება დარჩება ინვესტორს და წუხან, თავად ცოტა რომ შეხვდებათ ამ მოგებიდან.

„ამ ფულს მთავრობა გაფლანგავს და მერე გვეტყვის, დიდი ბოდიშიო!“

ლია ელიავა საპენსიო რეფორმას უნდობლად უყურებს

ნონა ცაბაძე

საქართველოს არ გააჩნია საინვესტიციო პოტენციალი. ჩვენთან, საქართველოში, ინვესტიციების განხორციელება ძალიან სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ჩვენთან არ არის განვითარებული საფონდო ბირჟა და სახიფათოა ფულის ინვესტირება ისეთ საწარმოებში, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას ან არ ასაჯაროებენ, ან ასაჯაროებენ მხოლოდ ნაწილობრივ.

დაგროვებით საპენსიო რეფორმას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უნდობლად უყურებს. საზოგადოებას არ სჯერა იმის, რაშიც ხელისუფლება არწმუნებს. რა ხარვეზები აქვს აღნიშნულ რეფორმას და რატომ ვერ მოიპოვა საზოგადოების ნდობა? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლია ელიავა პასუხობს.

– ქალბატონო ლია, საზოგადოების დიდი ნაწილი უნდობლად უყურებს დაგროვებითი პენსიის საკითხს. ფიქრობენ, რომ გაწბილებულები დარჩებიან, როდესაც მათ საპენსიო ასაკი მოუვათ. რას იტყვით თქვენ?

– ის, რომ საქართველოს მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებს ამ საპენსიო პროგრამას, არის გამართლებული და გამართლებული პირველ რიგში იმით, რომ არც ერთ მთავრობას, რომელიც ჰყავდა საქართველოს, არ შესწევდა და არ შესწევს უნარი, ეფექტიანად განკარგოს თანხები, იმისთვის, რომ სამომავლოდ მიიღოს გარკვეული სარგებელი და ამით იხეიროს მოსახლეობამ.

საქართველოს არ გააჩნია საინვესტიციო პოტენციალი. ჩვენთან, საქართველოში, ინვესტიციების განხორციელება ძალიან სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ჩვენთან არ არის განვითარებული საფონდო ბირჟა და სახიფათოა ფულის ინვესტირება ისეთ საწარმოებში, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას ან არ ასაჯაროებენ, ან ასაჯაროებენ მხოლოდ ნაწილობრივ.

– კიდევ რა ხარვეზზე შეიძლება საუბარი?

– კანონის თანახმად, შესაძლებელია ამ დაგროვილი საპენსიო თანხების ინვესტირება საზღვარგარეთ, თან ამ კანონში ხაზგასმულია, რომ აუცილებლად მაღალი სანდოობის ფასიან ქაღალდებში.

მაღალი სანდოობის ფასიანი ქაღალდების სარგებლიანობა, როგორიცაა აშშ-ის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, არის წელიწადში 1-1,5%. ანუ რაც უფრო მაღალი სანდოობის მქონეა ფასიანი ქაღალდი, მით უფრო ნაკლებია მისი სარგებლიანობა.

თქვენ დათვალეთ, ეს 1% წელიწადში რას მისცემს ახალგაზრდას, რომელმაც დღეს დაიწყო თავის საქმიანობა, 30 და 40 წლის შემდეგ?! ფაქტობრივად არაფერს. ეს თანხები კომერციულ ბანკებში რომ დააგროვონ, უფრო მეტ საპროცენტო განაკვეთს მიიღებდნენ. ერთადერთი, რაც რჩება ამ საპენსიო ფონდს, არის ფულის დაბანდება არასანდო ფასიან ქაღალდებში, რომლებიც უფრო მეტ შემოსავალს იძლევიან, 3-4%-ის ფარგლებში.

– და რისკიც დიდია, რომ ეს თანხა დაიკარგება?

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა. რისკი დიდია. მით უფრო, რომ საქართველო არ არის ავტორიტეტული ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე და მის მიმართ აგდებული დამოკიდებულება კერძო ფირმების მიერ ნამდვილად არ არის გამორიცხული. ამიტომ, სამომავლოდ რაღაცა არსებითი თანხის აკუმულირების პერსპექტივა არის ფაქტობრივად ნულოვანი.

საქართველოს არ გააჩნია საინვესტიციო პოტენციალი. ჩვენთან, საქართველოში, ინვესტიციების განხორციელება ძალიან სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ჩვენთან არ არის განვითარებული საფონდო ბირჟა და სახიფათოა ფულის ინვესტირება ისეთ საწარმოებში, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას ან არ ასაჯაროებენ, ან ასაჯაროებენ მხოლოდ ნაწილობრივ.

უკვე აკუმულირებული თანხა, 100 მილიონზე მეტი, განთავსებულია კომერციულ ბანკებში დეპოზიტებზე. ყველაზე დიდი დაინტერესება ამ თანხების აკუმულირებაში გააჩნიათ კომერციულ ბანკებს. განსაკუთრებით ორ ბანკს, საქართველოს ბანკს და თიბისი ბანკს, რომლებსაც გააჩნიათ ფასიანი ქაღალდების მართვის გამოცდილება.

მათი მხრიდან ამ ფულის ხელში ჩაგდების და საზღვარგარეთ გატანის ინტერესი დიდია. იქ უკვე სად დააბანდებენ, როგორ დაატრიალებენ, ამის გაკონტროლება შეუძლებელია. ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ამ თანხების მეტი წილი დაიკარგოს.

მერე გამოვა მთავრობა და გვეტყვის, უკაცრავად, მაგრამ ფასიან ქაღალდებში დაბანდება რისკფაქტორებთან არის დაკავშირებული და ამიტომ დავკარგეთ ეს თანხებიო.

– ხელისუფლება ამბობს, რომ სხვა ქვეყნებში ამ საპენსიო სქემამ გაამართლა. ხომ შეიძლება, რომ ჩვენთანაც გაამართლოს?

– უფრო ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები არის უფრო ძლიერი და კვალიფიციური, ეს სქემა გაამართლებს. საქართველოში, სადაც მთავრობა, განსაკუთრებით კი ეკონომიკური გუნდი არის სუსტი, როდესაც კონტროლი მოსახლეობის მხრიდან არის ნულოვანი, ამ დაგროვილი თანხების დაკარგვის შანსი არის დიდი.

გარდა ამისა, იმ 2%-ის ქვეყნიდან გატანა, რომელსაც ამატებს სახელმწიფო ბიუჯეტი, არის დანაშაული!

– რატომ არის დანაშაული?

– იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი არის ისედაც დეფიციტური და კიდევ მისგან თანხების ამოღება და ქვეყნის გარეთ გატანა ნიშნავს მისი დეფიციტის კიდევ უფრო ზრდას და ეკონომიკის დაზარალებას.

– აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა 40 წლის ზემოთ ნებაყოფლობითია, 40 წელს ქვემოთ კი – სავალდებულო. რამდენად სწორია, რომ სახელმწიფო იძულების წესით გიქვითავს თანხებს?

– მერწმუნეთ, რომ არავინ ისურვებდა თავისი ნებით ამის გაკეთებას. ეს არის იძულების მომენტი.

– 40 წელს ზემოთ რატომ დატოვეს ნებაყოფლობითი?

– 40 წლის ზემოთ სამსახურის პოვნა ან შენარჩუნება არის ძალიან რთული, აქცენტი ყოველთვის კეთდება ახალგაზრდებზე, ამიტომ მათი რაოდენობა არ არის იმდენად დიდი და ეს მომგებიანი არ არის.

გიორგი მშვენიერაძე: „თუ რამე დანაშაული არსებობს, ბესელიას გუშინ და გუშინწინაც უნდა ელაპარაკა“

იაგო ნაცვლიშვილი

ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები სოციალურ ქსელში კიდევ ერთხელ გაავრცელეს. პოლიციამ ერთ-ერთი ახალგაზრდა დააკავა. თუმცა, ისევ უპასუხოა კითხვა, ვინ არის მისი გავრცელების პირველი წყარო. ჩნდება თუ არა ეჭვი პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე და რამდენად დამაჯერებელია გამოძიების პასუხები? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელი გიორგი მშვენიერაძე საუბრობს.

– პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებამ უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო. შეგიძლიათ თქვათ, რომ ამან უკვე პოლიტიკური ანგარიშსწორების სახე მიიღო?

– ფაქტია, რომ ნებისმიერი მსგავსი ჩანაწერი აქტუალურია ისეთ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც პოლიტიკურ აქტივობაში არიან ჩართულები, ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ მათი დაშანტაჟების თუ შეშინების ან რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შელახვის გამო აქვეყნებენ.

– საკმაოდ გაიწელა პროცესი გამოძიების მიმართულებით. ეს კიდევ დამატებით ეჭვებს ხომ არ გიჩენთ?

– მესმის, რომ ასეთი ტიპის საქმეების გამოძიება ადვილი მარტივად არ არის, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის. აქედან გამომდინარე, ახლა ამაზე საუბარი რთულია. ვიცით, რომ რამდენიმე ადამიანი პასუხისგებაში მიცემულია. ზოგიერთი ადამიანი საეჭვო ბრალდებით, ამასაც პირდაპირ ვიტყვი. მაგრამ ყველაზე მთავარი კითხვაა, ვინ იყო პირველი წყარო, საიდანაც ინფორმაცია გავრცელდა და ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს და ამ შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

– ეკა ბესელიამ ერთთვიანი ვადა მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას. საკმარისია ეს იმისთვის, რომ გამოძიებამ ხელშესახები შედეგები დადოს?

– არ ვიცი. რა არის საკმარისი, რა ეტაპზეა გამოძიება და სხვა დეტალებზე წვდომა ჩვენ არ გვაქვს, ამიტომ ჩემი მხრიდან შეფასებების გაკეთება გამართლებული არ იქნება.

– როცა კონკრეტული პოლიტიკოსი ერთთვიან ვადას აძლევს, ეს რას ნიშნავს?

– როცა პოლიტიკოსი აძლევს ვადას, ეს არ არის ჩემი შესაფასებელი საკითხი. პოლიტიკოსს აქვს კონკრეტული დღის წესრიგი. როგორც დაზარალებულს, მას მეტის უფლება აქვს. პოლიტიკოსი აძლევს ვადას, მაგრამ არის თუ არა საკმარისი გამოძიებისთვის, ეს საგამოძიებო პროცესის საზომი არ არის. ჩვენ უნდა შევაფასოთ, ეფექტურია თუ არა გამოძიება და არის თუ არა ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედება, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, რა საგამოძიებო ქმედებები ჩაატარა საგამოძიებო უწყებამ.

ჩვენ ამაზე ხელი არ მიგვიწვდება. აქედან გამომდინარე ჩვენ ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ შედეგით, რომ გავიდა თუ არა გამოძიება პირველ წყაროზე, ეს ამ ეტაპზე დაუდგენელია. მეტი დეტალი ჩვენ ამის შესახებ არ გვაქვს.

– ეკა ბესელია ივანი შვილს დაემუქრა, რომ თუ კობახიძის ჯგუფს არ გააჩუმებს, ალაპარაკდება. ხომ არ გგონიათ, რომ არა მხოლოდ ამ საქმეზე, არამედ ზოგადად თუ რამე სკანდალური ინფორმაცია აქვს, უნდა ისაუბროს?

– ვერ გეტყვით. რა ფაქტიც თქვენ ნახეთ და მოისმინეთ, იგივე ვნახე და მოვისმინე მეც. დანარჩენი ვარაუდია. ვარაუდებზე არასერიოზული იქნება ჩემი მხრიდან საუბარი. რა შეიძლება იყოს და როგორ შეიძლება იყოს. რა ინფორმაციაზეა საუბარი, ამას ქალბატონ ეკას თავად თუ ჰკითხავთ, ბევრად უკეთესად გიპასუხებთ.

– ანუ თუ რამე დანაშაული ან მისი ნიშნების შესახებ ინფორმაცია აქვს, ხომ არ მოვიდა დრო, რომ ალაპარაკდეს?

– თუ რამე არსებობს, ახლა კი არა, გუშინ და გუშინწინაც უნდა ალაპარაკებულიყო. თუ რაიმე დანაშაულს ეხება. ეს არის ყველა ადამიანის ვალი, მით უმეტეს, პოლიტიკოსის. მათ შორის საზოგადოებას უნდა მიაწოდო ინფორმაცია, თუ იცი, რომ სხვა პოლიტიკოსები გარკვეულწილად ამ საქმიანობაში არიან ჩართულები, მაგრამ დანარჩენი ვარაუდია.

არის ასეთი ინფორმაცია თუ არ არის, აქვს ასეთი ინფორმაცია ქალბატონ ეკა ბესელიას თუ არ აქვს, ამაზე საუბარი მე გამიჭირდება.

მამუკა გვაძაბია: „ნატოს აინტერესებს, რამდენად არის რუსეთი საქართველოში შემოსული“

გულიკო ბალაძე

„ახალ თაობას“ დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტს თბილისში? მითხარით, რომ ამ ვიზიტთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაციები გაქვთ. თქვენი შეფასებით, რისთვის იყო ჩამოსული?

– ნატო არის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე, სხვადასხვა მოცემულობაში იყო მომენტები, როცა ზოგჯერ წინ პოლიტიკური საკითხები წამოიწევდა, ზოგჯერ სამხედრო. ეს საკითხები ყოველთვის ერთმანეთს აბალანსებდა. ნატოს და ნატოში შემავალ ყველა ქვეყანას ყოველთვის პრინციპული დამოკიდებულება ჰქონდა ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების საკითხისადმი.

– ანუ თუკი ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ინტერესი იქნება, საქართველოს ყველა ვარიანტში გააწევრიანებენ?

– მე საკითხს ასე დავსვამ – დღეს სხვა მოცემულობაა. ვარშავის კომუნისტური ბლოკი არ არსებობს. ნატოც სხვა გამოწვევების წინაშე დგას. დღევანდელი გამოწვევები მაინცდამაინც ნაკლები არ არის კომუნისტური ბლოკის პერიოდში არსებულ გამოწვევებზე. დღეს საერთაშორისო ტერორიზმი და სხვა გამოწვევებია. მიუხედავად ამისა, დღეს მსოფლიოში ისეთი მოცემულობაა, ნატოში შემავალი ქვეყნები დემოკრატიის არ მქონე ქვეყანას არ მიიღებენ.

ზოგადად, რეგიონში, ასევე შავი ზღვის აუზში არსებული სიტუაციისა და ენერგეტიკული მატარებლების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ნატოს როლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეგონოს, რომ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების მაგვარ კიდევ ერთ არჩევნებს ვინმე გვაპატიებს. სწორიც იქნებიან.

– ეგ გასაგებია. საარჩევნო პროცესის გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლება და ჩვენზეა დამოკიდებული. საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით ნატოს უფრო ჩვენი ტერიტორიული პრობლემები აფერხებს.

– ეს არის შემაფერხებელი, მაგრამ არა გადაულახავი ფაქტორი. ამერიკის ერთ-ერთმა გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაციამ რამდენიმე თვის წინ გამოთქვა აზრი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მე-5 მუხლის დროებითი შეჩერებით, ჩვენი ამ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში მიღების თაობაზე. მე-5 მუხლი შეეხება უსაფრთხოებას. ტერიტორიული პრობლემები შემაფერხებელი ფაქტორია, მაგრამ არსებულ მოცემულობაში საქართველოს შანსი აქვს დე იურედ მთლიანად ნატოს წევრი გახდეს, შემდეგ პრობლემების მქონე ტერიტორიების რეინტეგრაციის პროცესი უფრო სწრაფად მოხდება.

– მაშინ მთავარი საფრთხე რა არის?

– მთავარი საფრთხე, რისთვისაც ნატოს მაღალჩინოსნები საქართველოში ჩამოდიან, სხვაა. საქართველოს ხელისუფლებამ ნატოს გენმდივნის ვიზიტი ისე გაასაღა, თითქოს ნატო საქართველოს ხელისუფლებას უჭერს მხარს. საქართველოს ხელისუფლებას კი არა, ზოგადად, ქართულ სახელმწიფოს უჭერენ მხარს. მათი ვიზიტები ემსახურება ერთი დიდი პრობლემის გადაჭრას.

– რა პრობლემის გადაჭრას?

– არის პრობლემა, რომლის გადაჭრაც ნატოს მაღალჩინოსნებს აინტერესებთ. კერძოდ, ნატოს ძალიან აინტერესებს, რამდენად არის რუსეთი საქართველოში შემოსული და საქართველო რამდენად არის რუსეთში შესული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

– ეს რას ნიშნავს?

– საუბარია რუსულ აგენტურაზე. ეს პრობლემა წინა ხელისუფლების დროსაც იყო. რამდენიმე ჯაშუში დაიჭირეს. ზოგი შემდეგ პოლიტპატიმრის სტატუსით გაუშვეს, სამწუხაროდ.

– დღეს რუსეთს სახელმწიფო სტრუქტურებში ჰყავს ჯაშუშები?

– მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ დღეს რუსულ აგენტურას ჩვენს შეიარაღებულ ძალებსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურებში ძალიან აქვს ფეხი მოკიდებული.

– ასეთი ინფორმაცია გაქვს?

– დიახ. მე თუ მაქვს ინფორმაცია, ჩვენს ნატოელ მეგობრებს არ ექნებათ? ამას უფრთხის ნატო, ვიდრე სხვა ნებისმიერ საკითხს. შეიძლება ცუდად ჩატარებულ არჩევნებზე თვალი დახუჭოს, ან სხვა პრობლემაზე რეაქცია არ ჰქონდეს, მაგრამ რუსეთის საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში შემოსვლაზე თვალს ვერ დახუჭავს და არ დახუჭავს.

ეს არის ის ზღვარი, რის გამოც ნატო შეფერხდება. ნატოს აინტერესებს, ვის ხელშია საქართველოს უსაფრთხოების სისტემები – საქართველოს შეიარაღებული ძალები, უშიშროების სამსახურები, დაზვერვის სამსახური, კონტრდაზვერვის სამსახური.

ბოლო 7 წლის განმავლობაში არც ერთი აგენტი გამოვლენილი და დაპატიმრებული არ არის. ვერავინ დამაჯერებს, რომ საქართველოში რუსეთის აგენტურული ქსელი არ არის.

– გამორიცხავთ, რომ საქართველოს უსაფრთხოების სისტემებში ჩანერგილი ჯაშუშები შეიძლება დააპატიმრეს და გააძევეს კიდეც?

– გამოვრიცხავ.

– თუკი დაიჭერდნენ, ყველა ვარიანტში პრესაში გაჟონავდა და ხმაური მოჰყვებოდა?

– რა თქმა უნდა. კონტრდაზვერვის სისტემებს იმის საშუალება ჰქონდათ, საქართველოს უსაფრთხოების სისტემებში ჩანერგილი ჯაშუშები გამოევლინათ და გადაეცათ რუსეთის მხარისათვის. ეს რომ გაეკეთებინათ, ინფორმაცია გაჟონავდა და გავიგებდით. ჯაშუშების არანაირი გამოვლენა არ მომხდარა. რაზეა ლაპარაკი, როცა ტრისტან წითელაშვილი საიდუმლო ობიექტებზე თავისუფლად დასეირნობს.

– ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, ნატოს გენერალური მდივანი ჩვენ მოვიწვიეთო, ანუ სტოლტენბერგი ჩვენი ხელისუფლების მოწვევით ჩამოვიდა. მით უმეტეს, რომ საქართველოში ნატოს მრავალეროვანი სამხედრო სწავლება ტარდება. თქვენ კი ამბობთ, რომ სტოლტენბერგს საქართველოს უსაფრთხოების სისტემებში შეპარული ჯაშუშების საკითხი აინტერესებდაო.

– ეს ნატოს გენმდივნის ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზია. ჩვენს უსაფრთხოების სისტემებში რუსეთის ჯაშუშების არსებობის შესახებ ინფორმაცია მათ აქვთ და შეშფოთებულიც არიან. რა არის ამაში გასაკვირი.

– თბილისში ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომა ჩატარდა, წვრთნები მიმდინარეობს, გენმდივანი ჩამოდის. ეს კი ბევრს გულზე არ ეხატება.

– რა თქმა უნდა, გულზე არ ეხატება. მე ძალიან მიხარია, რომ შავი ზღვის აუზი ნატოს თავისი ინტერესების სფეროდ მიაჩნია. შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან ნატოში სამი ქვეყანა შედის. უკრაინა და საქართველო ნატოსთან სერიოზულად თანამშრომლობენ და იკვეთება შავი ზღვის აუზით ნატოს დიდი ინტერესი.

როგორც ვიცი, ნატოს გენმდივანთან შეხვედრაზე ძალიან სერიოზულად განიხილებოდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხი. ნატო ანაკლიის პორტით ძალიან სერიოზულადაა დაინტერესებული. როგორც გვესმის, ეს არ იქნება სამოქალაქო პორტი. ღრმაწყლოვანი პორტი იმის საშუალებას იძლევა, რომ დიდი გემები შემოვიდეს. თუ საჭირო იქნება, წყალქვეშა გემებიც მივიღოთ. საქართველოს ხელისუფლებამ ნატოს გენერალურ მდივანს, რა თქმა უნდა, გარანტია მისცა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ჯერჯერობით, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

– რა ბოლო გაკვირვებს, მშენებლობა მიმდინარეობს, არ შეჩერებულა.

– ვნახოთ, მომავალში რა იქნება. მარტო ხაზარაძის გაგდებაა მიზანი თუ რუსეთის გეოპოლიტიკური თამაშების ფერხულში ჩაბმა, ამას დრო გვაჩვენებს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ამ საკითხზე ლაპარაკი ნატოს გენმდივანთან ნამდვილად იყო და ანაკლიის პორტის მშენებლობით ჩვენი ნატოელი მოკავშირეები ძალიან დაინტერესებული არიან.

ნინო წილოსანი: „შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს ინსტრუქციებზე საუბრისას“

მამუკა მდინარაძის მიერ ეკა ბესელიასთვის შეცდომით გაგზავნილ სმს – მომხდართან დაკავშირებით, მდინარემ აღიარა, რომ შეტყობინებას ნინო წილოსანს უგზავნიდა.

როგორც ბესელიამ განაცხადა, სმს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისთვის შესასრულებელ დავალებებს მოიცავდა.

წილოსანის თქმით, ის თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და მოუწოდებს ყოფილ თანაგუნდელს მსგავსი განცხადებებისგან თავი შეიკავოს.

– ჩემთვის გასაგებია, რომ ამ კუთხით მიჰყავთ საუბარი, რომ თითქოს ეს იყო მესიჯები. არც დროში ემთხვევა დილით ირაკლი კობახიძის მიერ გაჟღერებულ მესიჯებს და შემდეგ, 4 საათზე მამუკას მხრიდან გადმოგზავნილ მესიჯებს. ეს იყო კრებული იმ პოზიციების, რომელიც ჩვენი გუნდის წევრებს ჰქონდათ დაფიქსირებული ამ მოცემულობასთან დაკავშირებით. მე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს ინსტრუქციებზე საუბრისას. ასევე, ვერ მივაყენებ შეურაცხყოფას ვერცერთ ჩემს თანაგუნდელს, ამიტომ ამ თემაზე ვერაფერს სხვას ვერ გეტყვით, – აღნიშნა წილოსანმა.

ნიუპოსტი

„ოცნება“ მთაწმინდას თუ წააგებს, 2020-ში ძალიან გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში უკვე დასახელებულ კანდიდატებთან დაკავშირებით როგორია თქვენი შეფასება და რა მოლოდინი გაქვთ?

– საინტერესო არჩევნები გველოდება წინ. სერიოზული ბრძოლა იქნება. დამოუკიდებელი კანდიდატები უფრო შემოდიან მესამე ალტერნატივის სახით და არა რომელიმე პარტიასთან ასოცირებულად. მათი სტრატეგია იქნება როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის კრიტიკა და ამ ფონზე ააგებენ ისინი თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიას.

მათ იციან, რომ დღეს არც ერთია მომგებიანი და არც მეორე. ამომრჩევლისთვის დღეს არც ერთია მისაღები და არც მეორე. გავიხსენებდი ალეკო ელისაშვილის მაგალითს თბილისის მერის არჩევნებზე, როდესაც ის არც ოპოზიციას წარმოადგენდა და არც ხელისუფლებას. ის იყო დამოუკიდებელი კანდიდატი და სერიოზული შედეგიც დადო პირველი განაცხადისთვის. თუმცა, ამ კანდიდატებს რამდენად გამოუვათ, ეს სხვა თემაა.

– თქვენ ამბობთ, რომ ამომრჩეველი მესამეს ეძებს?

– დიახ. ეს აშკარაა. მესამე ალტერნატივას ეძებს ამომრჩეველი და სწორედ ამ სახით შემოდიან ისინი ამ არჩევნებში.

– სახელისუფლო კანდიდატი რა გზავნილია? ლადო კახაძეს პოლიტიკური ბეგრაუნდი აქვს, ის იყო საკრებულოს თავმჯდომარე, იყო ლეიბორისტული პარტიის წევრი და ბოლოს იყო პაატა ბურჭულაძის პარტიაში.

– პარტია როდესაც არჩევანს აკეთებდა, ალბათ გაითვალისწინებდა იმას, რომ მთაწმინდა არის თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი ტრადიციული ღირებულებების მქონე მოსახლეობით. ალბათ ამ გადაწყვეტილებისას წამყვანი იყო, რომ მოსახლეობასთან ეპოვა საერთო ენა კანდიდატს. ლადო კახაძე ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტი იყო.

– ხაზს უსვამთ მის მაღალ ცნობადობას? ამაზე გააკეთა აქცენტი „ქართულმა ოცნებამ“?

– ცნობადობა და ხალხთან ურთიერთობის უნარი. შეიძლება ბევრი იყოს ცნობადი, მაგრამ დადებითი ცნობადობა ნაკლები ჰქონდეს. მისდამი ხალხი სიმპატიით უფროა განწყობილი, ვიდრე პირიქით. კიდევ ერთი, მან თქვა, რომ ის არ აპირებს, იყოს პარტიის ტყვე, რომ დაიცვას ყველა ის პოზიცია, რომელიც პარტიას აქვს, მაგალითად, მოსამართლეების საკითხთან დაკავშირებით. ეს არის სწორი გზავნილი მისი მხრიდან.

– რამდენად სარწმუნოა ეს განცხადება, როდესაც ის არის „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი, ეს არ იქნება მუხრუჭი?

– ეს გამოჩნდება. თუმცა, ასეთი განცხადება მან უკვე გააკეთა. გარკვეული პოლიტიკური თავისუფლება გამოავლინა ამ განცხადებით. ეს არის ის თვისება, რაც ახლა „ოცნების“ კანდიდატს ყველაზე მეტად სჭირდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი დღეს საზოგადოების დიდ აღფრთოვანებას არ იწვევს. ამიტომ, „ოცნებისთვის“ უფრო მომგებიანი იქნება ისეთი კანდიდატის დაყენება, რომელიც ამ კურსის ტყვედ არ აღიქმება. ამ პოლიტიკისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად აღიქმება მოსახლეობაში, ამიტომ ვამბობ, რომ ეს სწორი განცხადებაა.



– რა შანსები აქვთ ოპოზიციურ კანდიდატებს? შალვა შავგულიძე ამბობს, რომ მისი კონკურენტი სახელისუფლო კანდიდატი იქნება.

– შალვა შავგულიძეს ექნება პარტიული რესურსი, რაც ყველა არჩევნებზე მნიშვნელოვანია. ეს არის უპირატესობა და კიდევ ერთი, ამ შემთხვევაშიც, როგორც ლადო კახაძე არ არის ასოცირებული „ქართულ ოცნებასთან“ ასე პირდაპირ, შალვა შავგულიძეც არ არის „ევროპულ საქართველოსთან“ პირდაპირ ასოცირებული. ორივე პარტიამ დაასახელა კანდიდატი, რომელიც პირდაპირ მასთან არ არის ასოცირებული. ეს საინტერესო ტენდენციაა.

– რაზე მიანიშნებს, როდესაც პარტიები გარეთ ეძებენ კანდიდატს? პარტიები ხვდებიან, რომ მაინცდამაინც პოპულარულები არ არიან ამომრჩეველში?

– დიახ, აბა სხვა რა ახსნა შეიძლება ამ გადაწყვეტილებას მოუძებნო?! დიახ, ისინი ხვდებიან, რომ მათი პარტიის უშუალო წევრი შეიძლება წარმატებული ვერ იყოს. ამიტომ ეძებენ გარეთ.

– ამბობენ, რომ მაისის არჩევნები ერთგვარი რეპეტიციაა 2020 წლის არჩევნების, მაგრამ ყველაფრის ფასად ხელისუფლება შეეცდება ამ არჩევნების მოგებას.

– მეეჭვება, რომ ყველაფრის ფასად, რადგან კარგად დაინახა „ქართულმა ოცნებამ“, რომ წითელ ხაზებს თუ გადაკვეთს, დასავლეთი რეაქციას მისცემს და შეუმჩნეველს არ დატოვებს. წითელი ხაზების გადალახვა ყველაზე მეტად ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ამიტომ, ხელისუფლება ბევრად უფრო ფრთხილი იქნება, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო.

რაც შეეხება დანარჩენს, რასაც კანონი უშვებს, აქ ის იქნება სრულად მობილიზებული და არ დაუშვებს იმას, რაც დაუშვა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში. პირველი ტური იყო დაუდევრობის შედეგი. განწყობა იყო: ისედაც მოვიგებთ, მაგრამ მთლად ასე არ აღმოჩნდა.

ამ შემთხვევაშიც, თუკი მოდუნდება „ოცნება“, მაშინ ეს მას ძვირი დაუჯდება და ოპოზიციური კანდიდატი გაიმარჯვებს, მაგრამ ალბათ ყველაფერს გააკეთებენ, რომ ასე არ მოხდეს, რადგან დამარცხებულის იმიჯით უკვე ძალიან რთული იქნება 2020 წლის არჩევნებზე გასვლა.

კრემლი ხაჯიმბას განურისხდა?

რატომ იმართლებენ თავს სოხუმში

მარიამ მჭედლიშვილი



აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი მოსკოვიდან იმართება, თუმცა განუხრელად არ ასრულებს კრემლიდან წამოსულ ყველა ბრძანებას. გარდა ამისა, ხაჯიმბა და მისი გარემოცვა შეშფოთებული არიან უუნარობასა და მომხვეჭელობაში.

ამის გამო ოკუპანტი სახელმწიფო დროდადრო ამხელს სოხუმელ ქვეშევრდომებს. მამხილებლების როლში გამოდიან ნაკლებად წონიანი და უცნობი პირები – რუსი ჩინოსნებით დაწყებული, ექსპერტებით დამთავრებული. გამოითქმის ისეთი მოსაზრებაც, რომ რუსეთმა არ უნდა დააფინანსოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ეს ძალიან ძვირი ჯდება, ამის სანაცვლოდ მიღებული დივიდენდები კი უმნიშვნელოა. არსებობენ ისეთი ექსპერტებიც, რომლებიც ოკუპირებულ აფხაზეთს რუსეთისთვის ფაქტობრივად დაკარგულად თვლიან.

აფხაზეთის შესახებ გავრცელებული მასალები მრავალფეროვანია. იქ არსებულ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას და ინფრასტრუქტურის არარსებობას ბევრი აღიარებს. გამოქვეყნებულ სტატიებზე სოხუმში, როგორც წესი, ნაკლებად რეაგირებენ.

ამჟამად სხვა სიტუაციაა. მოქმედი დეფაქტო პრეზიდენტი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც ემზადება. ამიტომ, ხაჯიმბასთან კრიტიკა მტკივნეულია. მით უმეტეს მაშინ, თუ საეჭვო ხდება აფხაზურ-რუსული ურთიერთობები.

აფხაზეთის შესახებ ინტერნეტ პუბლიკაციებით შეწუხებულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ თავის მართლება წერილობით დაიწყო.

პასუხის გასაცემად ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო შეირჩა.

ოკუპირებული რეგიონის დეფაქტო საგარეო უწყება ირწმუნება, რომ ხშირად საინფორმაციო სივრცეში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა გამუქებულია. ხანდახან ინფორმაციის წყარო ქართული, ან მასთან დაახლოებულია. ზოგჯერ ვითარებას ნეიტრალური გამოცემებიც ამახინჯებენ.

სტატიებში ნათქვამია, რომ აფხაზეთის სახელმწიფო მმართველობაში კოლაფსია, აფხაზეთის რეპუტაცია რუსეთში – დანგრეული.

წერილის ავტორები თავს იმართლებენ და აღნიშნავენ, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. არსებობს გრძელვადიანი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დიდი პოტენციალი. განუხრელად სრულდება 2014 წლის „ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“. რუსეთთან ფორმდება შეთანხმებები განათლების, ჯანდაცვისა და სხვა მიმართულებით. რუსეთისა და აფხაზეთის პრეზიდენტები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს.

რაულ ხაჯიმბა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთთან თანამშრომლობას, რომელიც მის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტულია. იგი ყველა ღონეს ხმარობს, რათა აფხაზეთი უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი რუსეთსა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

აშკარაა, რომ ხაჯიმბას და მის უწყებას დასჭირდათ თავის მართლება მოსკოვის წინაშე. მას მარჩენალი სახელმწიფოდან უკმაყოფილების შემცველი გზავნილები მიაწოდეს.

როგორც ჩანს, კრემლი ხაჯიმბას არჩევნებამდე სამი თვით ადრე ან ახალ მოთხოვნას წამოუყენებს, ან შემცვლელს მოუძებნის.

ოკუპირებულ რეგიონში სხვა კანდიდატების დასახელებას არ ჩქარობენ. საზოგადოების ნაწილს არქიმანდრიტ დოროთეს იმედი ჰქონდა. მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას კანონი არ უკრძალავს. დოროთე დბარმა ამ დღეებში პოლიტიკაში ჩართვაზე უარი თქვა და აღნიშნა, რომ სანამ არ გამოჩნდებიან ახალი ფორმაციის ლიდერები, ყველას გადახაზავს.

ხაჯიმბას დასაყრდენი – დეფაქტო საგარეო უწყება – მოსკოვს ერთგულებას ლავროვის სამინისტროს განცხადებების გადამღერებით უმტკიცებს.

ნატოს გენმდივნის თბილისში ვიზიტსა და ნატო-საქართველოს სწავლებებზე ოკუპირებული რეგიონის დიპლომატიურმა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ეს არის გამოწვევა მათი ეროვნული უსაფრთხოებისთვის, თბილისი კი ეჭვის ქვეშ აყენებს მის მიერ დეკლარირებულ მშვიდობისმოყვარეობას.

საქართველოში 53.932 სტატუსშეჩერებული სტუდენტია – ეს ისტორიული მაქსიმუმია

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – „აფბა“ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს, რომელიც სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს ეხება. „კომერსანტი“ კვლევას უცვლელად გთავაზობთ.

„აფბას“ ინფორმაციით, რომელიც ორგანიზაციის ანალიტიკოსმა ბაჩანა ჯინჭარაძემ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან“ გამოითხოვა, 2018 წლის მდგომარეობით საქართველოში სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა და ის 53.932 სტუდენტს შეადგენს.

მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც ბოლო 6 წელს შეეხებოდა (2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით), დადგინდა, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა წლიდან წლამდე მზარდი ტრენდით ხასიათდება. თუ 2013 წელს სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა 21.704 იყო, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 53.932 სტუდენტს შეადგენს. მათი რაოდენობა ორჯერ და მეტად გაზრდილია.

ორგანიზაციის ინფორმაციით, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, ასევე საგრძნობი მატებაა სტატუსშეჩერებული სტუდენტების. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, მატება 8.751 სტატუსშეჩერებულ სტუდენტს შეადგენს.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც სტუდენტებს სტუდენტის სტატუსი უჩერდებათ.

აღნიშნული გარემოებებია: ფინანსური დავალიანება; საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა; ორსულობა; მშობიარობა და ბავშვის მოვლა; ავადმყოფობა; სხვა მიზეზები.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გასულ, 2018 წელს 53.932 სტატუსშეჩერებული სტუდენტიდან ფინანსური დავალიანების გამო 20.935 სტუდენტს აქვს შეჩერებული სტატუსი; საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის გამო 183 სტუდენტს; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 240 სტუდენტს; ავადმყოფობის გამო 155 სტუდენტს, ხოლო 32.419 სტუდენტს სტატუსი სხვა მიზეზების გამო აქვს შეჩერებული.

„აფბას“ ინფორმაციით, მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფინანსური დავალიანების გამო ასევე მზარდი ტრენდით ხასიათდება.

2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ფინანსური დავალიანების შედეგად სტატუსის შეჩერების შემთხვევა 3.786 ერთეულით გაზრდილია. 2017 წელს ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი 17.149 სტუდენტს ჰქონდა შეჩერებული.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ფინანსური დავალიანების გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევები, შესაძლოა გაცილებით მეტი იყოს, რადგან სტატუსის შეჩერების პროცესში სტუდენტები კონფიდენციალური ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავს იკავებენ და სტატუსის შეჩერების მიზეზად უთითებენ კრიტერიუმს „სხვა მიზეზი“, რაც, საბოლოო ჯამში, უფრო რეალური სურათის დანახვას ართულებს იმის თაობაზე, თუ რამდენი სტუდენტი იჩერებს სტატუსს უსახსრობის გამო.

„აფბა“ რეკომენდაციების სახით საქართველოს მთავრობას, პარლამენტს და უნივერსიტეტებს მიმართავს.

ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის გადახდის მოქნილი გრაფიკის შეთავაზება;

ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის დაწესებული ჯარიმების გადახედვა;

სტუდენტებისათვის, დასაქმების შემთხვევაში, შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის შეთავაზება;

უნივერსიტეტის ბაზაზე, ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებისათვის დასაქმების შეთავაზება, იმდენად, რამდენიც ეს შესაძლებელი იქნება;

ონლაინ სახელმძღვანელოების ბაზის გაზრდა, რომ სტუდენტთათვის ფინანსური ტვირთი შემცირდეს.

საბანკო სექტორის 12 სერვისცენტრი დაიხურა

2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, ბოლო 1 წელიწადში საქართველოში ბანკების 12 სერვისცენტრი დაიხურა. სფეროს სპეციალისტები ფილიალების დახურვის მიზეზად ბანკების გამსხვილებასა და ინტერნეტბანკინგის განვითარებას მიიჩნევენ.

სერვისცენტრების დახურვის მიზეზად ასევე სახელდება სწრაფი სესხების გაცემის შემცირებაც, რომელიც ახალი რეგულაციის შემდეგ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის მიუწვდომელი გახდა. არადა, როგორც ექსპერტები ამბობენ, მოსახლეობისათვის ფულის მიწოდება შეიზღუდა, თუმცა არ შემცირებულა მოთხოვნა. ამიტომ ხალხი კერძო გამსესხებლებს, ე.წ. მევახშეებს მიმართავს. ეს სექტორი კი ყოველთვის პრობლემა იყო ფინანსური ბაზრისათვის და დასაკუთრებული ქონების ყველაზე დიდი წილიც მათზე მოდის.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებლის გიორგი კეპულაძის თქმით, ბოლო პერიოდში ექსპრეს სესხებზე თვითდასაქმებული ადამიანების ხელმისაწვდომობა შემცირდა.

– რა თქმა უნდა, ეს უკავშირდება ახალ რეგულაციებს, რომელმაც მათი წილი მნიშვნელოვნად შეამცირა. ჯაჭვური რეაქციით კი მოხდა იმ ფი-

ლიალების დახურვა, რომლებიც უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობდნენ. პროცესი შეუქცევადია და შესაძლოა, მიმდინარე წელსაც გაგრძელდეს. ამასთანავე, საქმე ის გახლავთ, რომ ფულზე მოთხოვნა არ შემცირდება. სწორედ ეს გამოიწვევს გარკვეული სახის მიწოდებასაც. მაგალითად, საბანკო და ოფიციალური სექტორის გარეთ, შესაძლოა კერძო პირებმა დაიწყონ, როგორც დიდი, ასევე მცირე თანხების გაცემა. ამის საფასური კი გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ბანკების შემთხვევაში იყო – არაფორმალურ სექტორში სესხზე პროცენტი ბევრად მაღალია. რეგულაციები გარკვეულწილად ზღუდავს ეკონომიკის ბაზარს, შეიძლება ერთი მხარის უფლება დავიცვათ და მეორე მხარის დავარღვიოთ. გამოდის ისე, რომ რეგულაცია შემოვიდა და ბანკები ვეღარ ყიდიან ისე აქტიურად თავიანთ პროდუქტებს, როგორც ადრე ყიდდნენ. მათ უწევთ თავიანთი ხარჯების გადახევა და ამის ხარჯზე თანამშრომლების შემცირება. ვერ ვიტყვით, რომ ამის გამო უმუშევართა რიცხვი გაორმაგდება, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზრდება. ყველა ეს ეფექტი არის გასათვალისწინებელი. შეიძლება, სახელმწიფოს უღირდეს ამ ადამიანების უმუშევრად დატოვება, იმის ხარჯზე, რომ არ გაიზარდოს ჭარბვალიანი მოსახლეობის წილი. თუმცა, ისიც უნდა გავიაზროთ, რომ ეს რეგულაციები ჯერ სიღარიბისა და ჭარბვალიანობის დაძლევის მედიკამენტად ვერ გამოდგება.

ბანკების ფილიალების შემცირებასა და, ასევე, კერძო გამსესხებლების გააქტიურებას არ გამორიცხავს, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ძნელაძე. მისი თქმით, თუ აღარ იქნება ბაზარზე ექსპრესსესხების მიწოდება, რასაკვირველია, ეს გამოიწვევს გარკვეულ ოპტიმიზაციას, როგორც სესხების ასევე, ფილიალებისა და თანამშრომლების კუთხით.

– სამომხმარებლო მიმართულებით გაცემული სესხების რაოდენობა შემცირებულია. დღეის მდგომარეობით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის მონაცემები გვაქვს. ეს ზოგადად ყველაზე არააქტიური თვეებია და რთული იქნება სხვა თვეებთან შედარებით მივიღოთ კონკრეტული შედეგი, თუმცა, მცირედით განსხვავდება შარშანდელისგან. შარშან საბანკო სექტორის 12 სერვისცენტრი დაიხურა, წელს რამდენად მოთხოვნადი იქნება ამდენი ფილიალი, დღეის მდგომარეობით, კონკრეტული პასუხის გაცემა არ შემიძლია, თუმცა, ვიზუალურად რომ შევაფასოთ, თუ აღარ იქნება ბაზარზე ექსპრესსესხების მიწოდება (თუნდაც მცი-

რე განვადებების გაცემა შეწყდება, რაც მინიმუმამდე დავიდა უკვე) რასაკვირველია, ეს გამოიწვევს გარკვეულ ოპტიმიზაციას, როგორც სესხების, ასევე, ფილიალებისა და თანამშრომლების რაოდენობის კუთხით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, სანამ რეგულაცია შევიდოდა ძალაში, ჩვენ გვქონდა განცხადება გაკეთებული, ეს მოლოდინი არსებობდა, რომ მცირე მოცულობის სესხები მეტ-ნაკლებად შემცირებოდა და ამ მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული არ ხდება. უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად შეცვლის სხვა პროდუქტები აღნიშნული სესხების შემცირებას. აღსანიშნავია ისიც, გადაინაცვლებენ თუ არა მსესხებლები სხვა ბაზარზე. ჩემი აზრით, შესაძლოა გადაინაცვლოს გარკვეულმა ნაწილმა, მაგრამ დიდ მასშტაბს ვერ დაიჭერს. რეალურად უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. დღეს რომ ვთქვათ, რომ აფეთქებაა ამ მიმართულებით და ყველა დაიძრა არაფორმალური ბაზრისკენ, ასე არ არის. მარტის თვიდან იწყება რეალურად აქტივობა და პიკს მაისში აღწევს, ჩვენც ამ პერიოდს უნდა დაველოდოთ. თუმცა, ამ ეტაპზე ბანკებში სესხების დამტკიცების კოეფიციენტი მოკლებულია და მიმართვიანობა ნელ-ნელა იკლებს, – განაცხადა ძნელაძემ.

„თიბისი კაპიტალი“ — 2019 წლის იანვარში დამტკიცებული იპოთეკური სესხების ოდენობა 47%-ით შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ახალი რეგულაციების შედეგად 2019 წლის იანვარში დამტკიცებული იპოთეკური სესხების ოდენობა 47%-ით შემცირდა. ამის შესახებ საუბარია „თიბისი კაპიტალის“ მიერ უძრავი ქონების ბაზრის კვლევაში.

ამავე კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ 2018 წელს თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მოცულობამ 4,1 მლრდ ლარი შეადგინა, რომლის 65% ახალაშენებული ბინების ტრანზაქციებით იყო განპირობებული.

– ბინების რეალიზებული ფართობი 31%-ით გაიზარდა, რასაც იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ეროვნული ბანკის მიერ დაანონსებული რეგულაციების მოლოდინმა შეუწყო ხელი. ხოლო რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის იანვარში დამტკიცებული იპოთეკური სესხების ოდენობა 47%-ით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2018 წელს მოთხოვნის განსაკუთრებული ზრდა პრემიუმ და საშუალო სეგმენტის ბინებზე დაფიქსირდა. ცენტრალურ უბნებში რეალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი ფართობის ბინებზე მოთხოვნით არის განპირობებული, ხოლო გარეუბნებში

შედარებით პატარა ბინების გაყიდვები სჭარბობს, – აღნიშნულია კვლევაში.

ამავდროულად ახალი სამშენებლო რეგულაციების ფონზე, თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების მშენებლობაზე გაცემული ნებართვები წინა წელთან შედარებით 45%-ით არის შემცირებული. „თიბისი კაპიტალის“ გათვლებით, ნებართვების კლება საცხოვრებელი ფართობების შემცირებაში 2021 წელს დასრულებულ მშენებლობებში აისახება.

– სექტორისთვის დამახასიათებელი ფუნდამეტური კრიტერიუმები ჯანსაღად გამოიყურება, რაც ამჟამად სექტორის „გადახურების“ საშიშროებას გამორიცხავს. 2018 წლის ტრანზაქციების საშუალო ფასი წინა წელთან შედარებით 6%-ით გაზრდილია ლარში, ხოლო 5%-ით დოლარში. ყველაზე ძვირი უბნის სტატუსს მთაწმინდა ინარჩუნებს, – აღნიშნულია კვლევაში.

ადგილები თბილისში, სადაც ელექტროდამტენები განთავსდება

თბილისში ელექტროავტომობილის დამტენები 30 ლოკაციაზე განთავსდება. როგორც თბილისის მერმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, დამტენებს „ქართლი ენერჯი“ დაამონტაჟებს. სწორედ ეს კომპანია გახდა მერიის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული.

მერიაში ელექტროენერგიის საცხოვრებელ სახლამდე მიყვანის შესახებ 59 მოთხოვნაა შესული და ამ პროექტის განხორციელება უახლოეს ხანში დაიწყება.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ იმ ლოკაციებს, სადაც ელექტროდამტენები დამონტაჟდება:

- ვაჟა-ფშაველას გამზირი №18-26-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ვაჟა-ფშაველას გამზირი №46 მიმდებარე ტერიტორია;
- გამსახურდიას ქუჩა №16-20-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ფარნავაზ მეფის გამზირი, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორია;
- დიდ დიღმის მე-2, მიკრო/რაიონი, პეტრიწის ქუჩა, კორპუსი №17-7-ის მიმდებარე ტერიტორია;
- გლდანი, ვასაძის ქუჩა, ნაკვეთი 18-ის მიმდებარე ტერიტორია;

- აკაკი წერეთლის გამზირი №136;
- დავით აღმაშენებლის გამზირი №142-154-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ილია ჭავჭავაძის №64-74-ის მიმდებარე ტერიტორია;
- თავისუფლების მოედანი (საქართველოს ბანკის) მიმდებარე ტერიტორია;
- ვერის ბაღის მიმდებარე ტერიტორია;
- მერაბ კოსტავას №47-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ირაკლი აბაშიძის №11-19-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ირაკლი აბაშიძის №35-41-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ილია ჭავჭავაძის №29-33-ის მიმდებარე ტერიტორია;
- დავით აღმაშენებლის გამზირი №46-72-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ვაჟა-ფშაველას გამზირი №6-8-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ონიაშვილის ქუჩა №2-ის მიმდებარე ტერიტორია;
- 26 მაისის სახელობის მოედანი №1-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი № 37-ის მიმდებარე ტერიტორია;
- გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარე ტერიტორია;
- მუხიანის I მ/რ, კორპუსი №5-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა, უნივერსამის მიმდებარე ტერიტორია;
- ცაბაძის ქუჩა №5-ის მიმდებარე ტერიტორია;
- უზნაძის ქუჩა №19-ის მიმდებარე ტერიტორია;
- წინანდლის ქუჩა №9-ის მიმდებარე ტერიტორია;
- აწყურის ქუჩა №45-ის მიმდებარე ტერიტორია
- მეტრო ვარკეთილის მოპირდაპირე მხარეს, საყრდენი კედლის მიმდებარე ტერიტორია;
- ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ქვიშხეთის ქუჩა №1-ის მიმდებარე ტერიტორია.

„ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სპეცმმართველი ისევ რჩება

ყაზტრანსგაზ თბილისის სპეციალურ მმართველს გიგლა თამაზაშვილს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) 27 მარტის საჯარო სხდომაზე მიიღო. შესაბამისი ცვლილებები შევიდა „თბილისის ბუნებრივი გაზით სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ“ კომისიის 2009 წლის 16 მარტის №3/1 გადაწყვეტილებაში.

ცვლილებების თანახმად, გიგლა თამაზაშვილი სპეციალური მმართველის თანამდებობას 2019 წლის პირველ მაისამდე დაიკავებს.

ცნობისათვის, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ 2018 წელს კომპანიამ „ვალთბი“ (Waltbay) შეიძინა. აღნიშნული კომპანია საქართველოში რეგისტრირებული მსხვილი ქართული ბიზნესჯგუფის – შპს სი ბი ეს ჯგუფის ნაწილს წარმოადგენს. „სი ბი ეს ჯგუფი“ 2013 წლის 25 მარტს დაარსდა. ოფიციალურ საიტზე მითითებული ინფორმაციით, „სი ბი ეს ჯგუფის“ პარტნიორი კომპანიები არიან „კავკაზუს ონლაინი“, „თბილისის მიკროავტობუსი“, შპს „მობიტელი“ („ბილაინი“), „ჯორჯიან სერვის ნეთვორქი“ და TbV Rheinland. კომპანიის დამფუძნებელი ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარიაა. BPN

ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების პროექტით ორი კომპანია დაინტერესდა

ვარკეთილის მესამე მასივში ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების პროექტზე ინტერესთა გამოხატვა ორშაბათს დასრულდა. როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, პროექტით ორი კომპანია დაინტერესდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორედ ჩატარებული ინტერესთა გამოხატვა შედგა.

კომერსანტის ინფორმაციით, ერთ-ერთი კომპანია, რომელიც პროექტის განხორციელებას აპირებს, „სფერო ჰოლდინგია“.

ინფორმაციას თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური უფროსი ანდრია ბასილაიაც ადასტურებს. კონკრეტულად რომელი კომპანიები დაინტერესდნენ ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლებით, ბასილაიამ დაზუსტებისგან თავი შეიკავა.

– შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ინტერესთა გამოხატვა შედგა და დასრულდა. ორი კომპანია დაფიქსირდა, თუმცა ვინაობას ჯერ ვერ დავასახელებ. ერთერთს გარკვეული საბუთები აკლდა და როგორც კი შემოიტანს, გაფორმდება შესაბამისი ოქმიც. ამ ორი კომპანიიდან კი ავირჩევთ იმას, რომელიც მეტ კვადრატულ ფართს დაასახელებს. როგორც კი გავაფორმებთ ხელშეკრულებას, დაიწყება პროექტზე მუშაობაც. ოფიციალურად ამ ინფორმაციას 2-3 დღეში გავასაჯაროვებთ. დამატებით გეტყვით იმასაც, რომ ორივე კომპანია ქართულია, – განმარტავს ანდრია ბასილაია.

შეგახსენებთ, თბილისის მერიამ თავის დროზე ინტერესთა გამოხატვა ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე 30 205 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის განვითარების მიზნით გამოაცხადა. კერძოდ, საუბარია ვარკეთილის მესამე მასივის მეექვსე და მერვე კვარტლებში მდებარე ოთხი მწვავედ ავარიული კორპუსის სრულად ჩანაცვლებაზე.

„კომერსანტი“ ასევე დაინტერესდა, რა ეტაპზეა „ანძისა“ და „რადიოქალაქის“ პროექტების განხორციელება – როგორც მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური უფროსი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ამ ეტაპზე ორივე მათგანი გადაგზავნილია სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

– ბიურომ უნდა დაადგინოს ორივე პროექტის საწყისი ღირებულება და სწორედ ამის შემდეგ შევძლებთ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადებას. ჩემი ინფორმაციით, „რადიოქალაქის“ საწყის ღირებულებას უკვე მიმდინარე თვის ბოლოს გავიგებთ, ხოლო „ანძისას“ – აპრილში, – აცხადებს ანდრია ბასილაია.

გოგი თოფაძემ სავაჭრო ნიშანი „ყაზბეგი“ 3.65 მილიონად გაყიდა

Georgia Capital-მა საქართველოს ლუდის უძველესი სავაჭრო ნიშანი „ყაზბეგი“ და მისი კომერციული აქტივები იყიდა.

1881 წლიდან არსებული ბრენდის შესყიდვა გოგი თოფაძისგან საინვესტიციო კომპანიას 3.65 მლნ დოლარი დაუჯდა. „ყაზბეგი“ საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ბაზარზე 4-5% -იან წილს იკავებს.

Georgia Capital-ის შვილობილი „გლობალ ბიერ ჯორჯია“ ლუდის ბაზარზე პოზიციებს იმყარებს. კომპანია აწარმოებს ლუდს „აისი“ , ასევე იწყებს „ჰეინიკენის“ და „კრუშოვიცეს“ წარმოებას. gbc.ge

მალხაზ კობაურს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს

მსჯავრდებულის დედა და დეიდა ცუდად გახდნენ

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულს, მალხაზ კობაურს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს.

განაჩენი გუშინ, 27 მარტს, გორის რაიონულ სასამართლოში გამოცხადდა.

ნაფიცმა მსაჯულებმა 25 მარტს მალხაზ კობაური ყველა წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნეს. ბრალდების მხარე სამუდამო პატიმრობას ითხოვდა.

მოსამართლის მიერ კობაურისთვის უვადო პატიმრობის შეფარდების გამოცხადების შემდეგ, მსჯავრდებულის დედა და დეიდა შეუძლოდ გახდნენ.

გორის სასამართლოში სასწრაფო დახმარების ბრიგადები გამოიძახეს და ორივე მათგანი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

***

– ასეთი საზარელი დანაშაული ყოვლად შეუწყნარებელია. შესაბამისად, კობაურის მიმართ ადეკვატური და სამართლიანი სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთაა, – ასე გამოეხმაურა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას პროკურორი ზაზა დათუკიშვილი.

როგორც დათუკიშვილი განმარტავს, დანაშაულის მოტივი ყოვლად შეუწყნარებელია.

– ბრალდების მხარემ დღევანდელ სასამართლო სხდომაზე დააფიქსირა პოზიცია, რომ მსჯავრდებულ მალხაზ კობაურს სასჯელის სახით უნდა განსაზღვროდა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ბრალდების მხარემ დაასაბუთა აღნიშნული სასჯელის ადეკვატურობა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახეზე გვაქვს საზარელი დანაშაული, მოკლულია ოჯახის 3 წევრი, მათ შორის, 4 წლის მცირეწლოვანი ბავშვი. დანაშაულის მოტივი ყოვლად შეუწყნარებელი და გაუგონარია. ასეთი საზარელი დანაშაული ყოვლად შეუწყნარებელია.

ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ არათუ არ აღიარა და არ მოინანია დანაშაული, ის ბოლო წუთამდე და ბოლო ეტაპამდე ცდილობდა სასამართლოს, ნაფიცი მსაჯულების შეცდომაში შეყვანას. მოცემულ შემთხვევაში, მისი ერთადერთი მიზანი, პასუხისმგებლობისგან, სასჯელისგან თავის დაღწევა იყო.

დაცვის მხარე განაჩენის გასაჩივრებას აპირებს

მოცემულ შემთხვევაში, ერთადერთი ადეკვატური სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთა იყო. ბუნებრივია, სასამართლომ გაიზიარა ჩვენი პოზიცია და თავადაც იმსჯელა, დაასაბუთა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთადერთი ადეკვატური და სამართლიანი სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთაა, – განაცხადა დათუკიშვილმა.

სხვა პოზიცია აქვს დაცვის მხარეს.

მალხაზ კობაურის ადვოკატის, ვასილ მამულაშვილის, განცხადებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები არა თუ ადასტურებდა, არამედ გამორიცხავდა მალხაზ კობაურის ბრალეულობას.

– საქმეში არსებული გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა და, პირიქით, გამოირიცხებოდა ის ბრალდება, რისთვისაც მსჯავრდებულ იქნა მალხაზ კობაური, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, დაცვის მხარე ელოდებოდა მსგავს განაჩენს სასამართლოს მხრიდან, რადგან ყველა საპროცესო ნორმა დაირღვა საქმის არსებითად განხილვის დროს.

– მოლოდინი გვქონდა, რომ მოსამართლე ამ ტიპის გადაწყვეტილებას მიიღებდა, ვინაიდან რა საპროცესო ნორმებიც შეიძლება ყოფილიყო დარღვეული საქმის არსებითი განხილვის დროს, დაირღვა, – აღნიშნა მან.

დაცვის მხარე ერთთვიან ვადაში აპირებს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

– ჩვენ ვაპირებთ გასაჩივრებას იმ პრინციპების დარღვევისთვის, რომელიც უშუალოდ მოსამართლემ განახორციელა, – განაცხადა ვასილ მამულაშვილმა.

ეკა ბესელიას კადრების გავრცელებისთვის 19 წლის მირიან მჟავანაძე დააკავეს

დეპუტატ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ბრალდებით 19 წლის მირიან მჟავანაძე ბათუმში აიყვანეს.

უცნობია, რა მოტივით გაავრცელა მან ფარული კადრები.

დაკავებულის მამა ამბობს, რომ არ იცის, როგორ მოხვდა მის შვილთან დეპუტატის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა.

დაკავებულის მამა ამბობს, რომ მათ საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

– ჩხრეკა მიმდინარეობდა ჩემს სახლში, მაგრამ ბავშვი იყო ბათუმის ახლომდებარე სოფელში და იქიდან აიყვანეს. ჩვენთან მოვიდნენ, მაგრამ იქ გადავამისამართეთ. რატომ გაავრცელა, არ ვიცი, ან საიდან შევიდა მასთან, არ ვიცი. 19 წლისაა ჩემი შვილი, – ამბობს დაკავებულის მამა.

როგორც დაკავებულის დეიდამ, ლილი ტაკიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ღამის 03:00 საათზე სამართალდამცველები სახლში მივიდნენ და გამოუცხადეს, რომ მისი დისშვილი ჯარში მიჰყავდათ.

– მოტყუებით დაიკავეს და გადაიყვანეს, ჩვენ კი არაფერი განგვიმარტეს, რისთვის აკავებდნენ ბიჭს, რომელიც აბიტურიენტია. ბრალდება მედიასაშუალებებით გავიგეთ. საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკეს, როგორც სოფელ კაპრეშუმში, ასევე შუახევში, სოფელ ზემოხევში, სადაც დაკავებული ბიჭის მშობლები ცხოვრობენ.

ჩემი დისშვილი აბიტურიენტია და დროებით ჩემთან ცხოვრობდა და გაურკვეველია, რატომ ედავებიან აღნიშნულს, – განაცხადა ლილი ტაკიძემ.

„კურიერის“ ცნობით, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო კადრები სოციალურ ქსელში ორი კვირის წინ მირიან მჟავანაძის სახელით აიტვირთა, თუმცა შს სამინისტრომ ინფორმაცია მას შემდეგ მიიღო, რაც ამის შესახებ ჟურნალისტმა ელისო კილაძემ პოლიციას მიმართა.

ტაქსის მძღოლს მგზავრის გაუპატიურებისთვის 8 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გაუპატიურების და ძარცვის ფაქტზე ბრალდებულ დ.ც. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 30 ივლისს, დ.ც.-ს, საკუთარი მართვის ქვეშ მყოფი ტაქსით ქ.თბილისში, დაახლოებით 03:30 საათზე, მგზავრი – გ.ლ. გადაჰყავდა. დ.ც.-მ ავტომანქანა გზის სავალ ნაწილზე გააჩერა და ძალის გამოყენებით, ცემითა და მუქარით გ.ლ. გააუპატიურა.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ დ.ც.-მ დაზარალებულს, რომელიც ავტომანქანიდან თავისი ხელჩანთის აღებას ცდილობდა, სახის არეში ხელი დაარტყა, რის შედეგადაც გ.ლ. წაიქცა და ბორდიურს თავი დაარტყა. დ.ც.-მ კი ავტომანქანით შემთხვევის ადგილი დატოვა და გ.ლ.-ს კუთვნილი ხელჩანთა მასში მოთავსებული ნივთებით წაიღო.

სამართალდამცველებმა დ.ც. 2018 წლის 31 ივლისს თბილისში დააკავეს. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (გაუპატიურება) და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარუდგინა. დ.ც.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დ.ც. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თამარ ლომიძის მკვლელობის მცდელობისთვის შმაგი დოლიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ხაშურში ცოლის, თამარ ლომიძის, განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დაკავებულ შმაგი დოლიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

ბრალდებულის სასამართლო პროცესი გუშინ, 27 მარტს, გორის რაიონულ სასამართლოში გაიმართა.

შმაგი დოლიძემ სასამართლო სხდომაზე ყველა დასმული შეკითხვა პასუხის გარეშე დატოვა და აღნიშნული დუმილის უფლების გამოყენებით ახსნა.

პროკურორის, ნანა გუგუტიშვილის, განცხადებით, სასამართლომ მათ მიერ წარდგენილი არგუმენტები და მოსაზრებები პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, სრულად დააკმაყოფილა.

წინასასამართლო სხდომა აღნიშნულ საქმეზე 2019 წლის 17 მაისს ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, შმაგი დოლიძემ საკუთარ მეუღლეს ცივი იარაღით 7 ჭრილობა 24 მარტს მიაყენა. შემთხვევა რუსთაველის ქუჩაზე, სილამაზის სალონ „მირაჟში“ მოხდა.

დაჭრილი თამარ ლომიძის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა.

ბექა ხახუბიას საქმეზე 2 პატრულს პატიმრობა მიუსაჯეს, 1 კი გაათავისუფლეს

ბექა ხახუბიას გარდაცვალების საქმეზე 2 პატრულ-ინსპექტორს პატიმრობა მიუსაჯეს, ერთი კი გაათავისუფლეს.

გადაწყვეტილება გორის რაიონულ სასამართლოში გუშინ, 27 მარტს, გამოცხადდა.

მოსამართლე ნიკა მარსაგიშვილმა ერთ პოლიციელს, ზურაბ რუსიშვილს, 2 წელი და 6 თვე, ხოლო გია სადაღაშვილს 1 წელი და 6 თვე მიუსაჯა.

ნუკრი ხაბელაშვილს ბრალდება მოეხსნა.

ДИД ДИЛОМШИ АХАЛГАЗРДА МАМАКАЦИ ДАЧРЕС

26 მარტს, საღამოს, დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს.

დაჭრას წინ ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი უძღოდა. თვითმხილველების ინფორმაციით, კონფლიქტში ოცამდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.

სიტყვიერი შელაპარაკება პეტრიწის 4 ნომერთან დაიწყო.

მამაკაცი, რომელმაც 18 წლის დაჭრილს პირველადი დახმარება აღმოუჩინა, ამბობს, რომ ჭრილობა ღრმა იყო.

– აივანზე გამოვედი, ბავშვი იყურებოდა, მგონი სისხლი მდისო. მოიწიე-მეთქი, რომ ვუთხარი, სისხლი მოსდიოდა, მე ვერ ვხედავო და ძალიან მაქვს გაჭრილიო? სადარბაზოში შემოდი-მეთქი, მოგბან და შევხედოთ-მეთქი და იმის მიხედვით, მერე გადავწყვიტოთ, რა არის-მეთქი. კანი იყო მრგვლად ორგან გაჭრილი. ვიფიქრე, რომ ჯობია, სასწრაფო გამოვიძახოთ-მეთქი. ეს არ არის ნაკაწრი-მეთქი. თვითონაც მთხოვა, გამოიძახეო, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

დაჭრილი მამაკაცი ქირურგიის ცენტრში გადაიყვანეს.

სადახლოზე, სარფსა და ბათუმის აეროპორტში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს

სადახლოზე, სარფსა და ბათუმის აეროპორტში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს.

– 14-24 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო“, „სარფი“ და „ბათუმის აეროპორტი“, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, ირანის ისლამური რესპუბლიკის, საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეებს, დ.ლ.-ს, მ.ჯ.-სა და ლ.ჰ.-ს კუთვნილი ხელჩანთებისა და ფიზიკური დათვალიერებისას, ნარკოტიკული (23 აბი) ნივთიერების შემცველი მედიკამენტები და ნარკოტიკული ნივთიერება მეტამფეტამინი (0.17 გრამი) გამოვლინდა. საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. აღნიშნულ ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე და 262-ე მუხლების 1-ლი ნაწილით დაიწყო, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას და საქართველოში უკანონოდ შემოტანას გულისხმობს. დანაშაული 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

წითელ ხიდზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს

წითელ ხიდზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს.

– 22 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის ა.კ-ს სხეულის სკანერით დათვალიერების შედეგად, 8,647.84 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (წონა 134.7 გრამი) გამოავლინეს.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 8,647.84 ლარის ოდენობით შეეფარდა, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ლანჩხუთში 61 წლის კაცმა სანადირო თოფით თავი მოიკლა

სუიციდის ფაქტი მოხდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში. ადგილობრივების ცნობით, 61 წლის კაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სოფლის მაჟორიტარი სპარტაკ კვაჭაძე ამბობს, რომ მამაკაცმა, სავარაუდოდ, სანადირო თოფით მოიკლა თავი.

მისი თქმით, მოქალაქეს ჭრილობა გულის არეში აღენიშნება.

– შიგ გულში აქვს ნასროლი, – ამბობს ადგილობრივი.

აშშ-ის კონგრესმა „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის საწინააღმდეგო კანონი მიიღო

„ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის გარშემო აჟიოტაჟი არ ცხრება. რუსეთი მის განხორციელებას ჯიუტად ცდილობს, რადგან ამით ევროპაზე მოსკოვის გავლენა გაიზრდება. ზარალდება უკრაინა, რომელიც დღეს რუსეთისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ზარალდება აღმოსავლეთ ევროპა, უწინარეს ყოვლისა, პოლონეთი და ბალტიისპირეთი. გერმანია კი პირიქით, ევროპაში გაზის ერთ-ერთ უმთავრეს ჰაბად გადაიქცევა. ყველა, ვინც „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის წინააღმდეგია, უმთავრეს იმედს აშშ-ზე ამყარებს.

აშშ-ის კონგრესმა ამასთან დაკავშირებით კანონი მიიღო. ის სენატორებმა ადამ კინზინგერმა და ბილ კიტინგმა მოამზადეს. კანონ-პროექტს მხარი კონგრესმენთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (391) დაუჭირა. წინააღმდეგ მხოლოდ 24-მა მისცა ხმა.

– ბედნიერი ვარ, რომ კონ-გრესში ამ საკითხს მხარს უჭერს ასეთი შესაშური უმრავლესობა, – განაცხადა ადამ კინზინგერმა.

სენატორმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ჩრდილოეთის ნა-კადი 2“ არა კომერციული, არამედ პოლიტიკური პროექტია. ის აშშ-ის წინააღმდეგაა მიმართული. ხსენებული პროექტი მიზნად ევროპაზე რუსეთის გავლენის ზრდასაც ისახავს. რიგ სახელმწიფოებს ეს შესანიშნავად ესმით, ამიტომაც მისი წინააღმდეგნი არიან.

– ჩვენი ვალია, ამ ქვეყნებს დავეხმაროთ, – ამბობს კინზინგერი.

ხსენებული კანონპროექტი სენატმა უნდა დაამტკიცოს, შემდეგ კი პრეზიდენტმა ხელი მოაწეროს.

სენატში ანალოგიური შინაარსის კანონპროექტი უკვე დევს. ის სენატორმა მარკო რუბიომ მოამზადა.

– ის, რომ ამერიკელი კონგრესმენები „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ასეთი წინააღმდეგნი არიან, აიძულებს მთავრობას, რომ ქმედითი ზომები მიიღოს, – ამბობს კინზინგერი.

ქმედით ზომებში აშშ-ის მთავრობის მიერ იმ ფირმების მიმართ სანქციების დაწესება იგულისხმება, რომლებიც „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის განხორციელებაზე მუშაობენ. ეს ძირითადად გერმანული ფირმებია. აღნიშნული სანქციების შემდეგ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის განხორციელება შეუძლებელი იქნება. თუმცა ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ სანქციები მას ვერ შეაჩერებს.

– თუ ამერიკული სანქციების შედეგად გერმანულმა ფირმებმა ნაკისრი მოვალეობის შესრულება ვერ შეძლეს, „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ს ჩვენი ძალებით განვახორციელებთ, – ამბობს პუტინი.

ტრამპი მუელერის საქმიანობით კმაყოფილია

როგორც ცნობილია, სპეცპროკურორმა მუელერმა გამოძიება დაასრულა. მან განაცხადა, რომ რუსები 2016 წლის არჩევნებში მართლაც ჩაერივნენ, მაგრამ პირადად ტრამპი ამ საკითხში რუსებთან დაკავშირებული არ იყო.

– მუელერმა უდიდესი სამუშაო ჩაატარა! მისით ძალზე კმაყოფილი ვარ, – განაცხადა ტრამპმა.

ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა გააკრიტიკა წამყვანი ამერიკული მედია, რომელიც, მისი აზრით, მუელერის გამოძიებას არაობიექტურად აშუქებდა

– მედია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პუტინთან ვიყავი დაკავშირებული! ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი ამერიკული სახელმწიფოს შეურაცხყოფაა! – თქვა ტრამპმა.

ლიბანის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა

ლიბანის პრეზიდენტი მიშელ აუნი მოსკოვში ჩავიდა. ის პუტინს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიელი ლტოლვილების ბედი და მათი სამშობლოში დაბრუნება იყო.

ომის დაწყების შემდეგ ათასობით სირიელმა ლიბანს შეაფარა თავი. მათ მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ლიბანის მთავრობის ზოგიერთი წევრი მიიჩნევს, რომ სირიელი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საქმეში მთავარი როლი რუსეთის პრეზიდენტმა, პუტინმა უნდა ითამაშოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კიევი ნატოს ასამბლეას უმასპინძლებს

უკრაინა-ნატოს ურთიერთობები სულ უფრო მჭიდრო ხდება. მიმდინარე წლის მაისში ლვოვში უკრაინა-ნატოს საპარლამენტთაშორისო კომისიის სხდომა ჩატარდება. მომავალ წელს კი კიევი ნატოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიასაც უმასპინძლებს.

დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა კიევი ნატოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეას უმასპინძლებს.

უნგრეთი უკრაინა-ნატოს ურთიერთობების ბლოკირებას შეეცადა. ამჯერად ოფიციალურმა ბუდაპეშტმა ეს ვეღარ გაბედა. მიუხედავად ამისა, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიიეტრომ მაინც გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მომავალ წელს კიევი უკრაინა-ნატოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიას უმასპინძლებს.

– დასავლეთი ორმაგ სტანდარტებს მისდევს. მათ არ სურთ დაინახონ, რომ უკრაინაში ეროვნულ უმცირესობასთან დაკავშირებით პრობლემებია, – თქვა სიიეტრომ.

მინისტრი მიიჩნევს, რომ იმიერკარპატისპირეთში უნგრული უმცირესობის უფლებები ილახება. ევროკავშირი ამას არ იზიარებს. მეტიც, ბრიუსელში თვლიან, რომ თავად უნგრეთში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია.

ჯალეიდოსკოპი

ზღვის ლომი ზვიგენს თავს დაესხა



აშშ-ის მკვიდრი ქალბატონი მშიერი ზღვის ლომის კალიფორნიულ სამკბილა ზვიგენზე თავდასხმის თვითმხილველი გახდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი სან-ფრანცისკოს ყურეში მოხდა. კალიფორნიელი ტორი გერმანი ნავით ცურვაში გამართული შეჯიბრიდან სახლში ბრუნდებოდა, როდესაც ორთაბრძოლის თვითმხილველი გახდა. ქალმა ვიდეოკამერაზე აღბეჭდა, თუ როგორ კბენდა ზღვის ლომი ზვიგენს და მას წყლის ზედაპირზე ახეთქებდა.

ცხოველთა მკურნალობის არაკომერციული დაწესებულების წარმომადგენელმა კარა ფილდმა განაცხადა, რომ ზღვის ლომების საქციელის გამოცნობა შეუძლებელია და, რომ ისინი შესაძლოა ადამიანისთვისაც კი საფრთხე წარმოადგენდნენ. ის საზოგადოებას ურჩევს, რომ საერთოდ თავი შორს დაიჭირონ მტაცებელი ცხოველებისგან.

ერთ წლის ბავშვის ამოყვანას ჭიდან ორი დღე დასჭირდა

ინდოეთის ხარიანის შტატში 18 თვის ბიჭი გადაარჩინეს, რომელიც 18 მეტრი სიღრმის ვიწრო ჭაში იყო ჩავარდნილი.

სამაშველო ოპერაცია დაახლოებით ორი დღე გრძელდებოდა. ჭაში ჩავარდნილი ბავშვისთვის თვალყურის სადევნებლად ჭაში ღამის ხედვის კამერა ჩაუშვეს. ბავშვის ამოყვანას ბადეების დახმარებით ცდილობდნენ, მაგრამ გარკვეული სირთულეების გამო ამ გეგმაზე უარის თქმა მოუწიათ.

ამის შემდეგ მაშველებმა და სამხედროებმა პირველისგან ექვსი მეტრის დაშორებით მეორე ჭა გაბურღეს, შემდეგ კი ისინი ერთმანეთს გვირაბით დააკავშირეს, მისი დახმარებით კი ბავშვი გამოიყვანეს. ჭის ჩამონგრევა რომ არ მომხდარიყო, ის ხელით ამოთხარეს.

გადარჩენილი ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველოს ნაკრები უქულოდ და უგოლოდ რჩება

ირლანდია-საქართველო 1:0

დუბლინი. ავივა სთედიუმი
1:0 ჰურიჰეინი (36)

ირლანდია: რენდოლფი, კოულმენი, დაფი, კოე, სტივენსი, ნურიჰეინი, უელენი, ჰენდრიკი, მაკლინი, მაკგოლდრიკი (დოჰერტი 81), ბრეიდი (ობრაიენი 74)

საქართველო: ლორია, კაკაბაძე (ოქრიაშვილი 85), ხოჭოლავა (ხარაბაძე 65), კვირკველია, კაშია, კვეკვესკირი, კიტეიშვილი, კანკავა, გვილია, არველაძე (ყაზაიშვილი 73), ქვილითაია

საქართველოს ნაკრებს დეჟავუ აქვს – ახალი შესარჩევი ციკლი და 2 ტურის შემდეგ დაკარგული შანსი. დიახ, ვლადიმირ ვაისის გუნდმა 2 მატჩი გამართა 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და თავს მხოლოდ 0 ქულითა და 0 გატანილი გოლით „იწონებს“. ამაში სლოვაკი სპეციალისტის დამსახურება დიდია.

შვეიცარიასთან სასტარტო თერთმეტეული ვაისმა გვარიანად გადაახალისა. ირლანდიასთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდნენ სოლომონ კვირკველია, ოთარ კიტეიშვილი და ვატო არველაძე. არ იყვნენ ჯემალ ტაბიძე, ჯანო ანანიძე და ვაკო ყაზაიშვილი.

კვირკველიასა და კიტეიშვილის გამოჩენა გასაკვირიც არ იყო. აი, არველაძის სასტარტოში დაყენებას, ცოტა არ იყოს, ვერ მივხვდით. მიუხედავად იმისა, რომ ვატო ბოლო ტურებში კარგად ირჯებოდა პოლონეთის ჩემპიონატში, სანაკრებოდ მზად არ არის. ეს ცალკე პრობლემას უქმნიდა ბოლო დროს უთამაშებელ სანდრო კაკაბაძეს. ვერც მარცხენა ფლანგის მოთამაშეების დაყენების სისწორეში დავეთანხმებით ვაისს.

პირველ ტაიმში ცენტრი საერთოდ დაკარგული იყო. ჩვენებს ძალიან უჭირდა ბურთის კონტროლი და პრაქტიკულად ვერც ახერხებდა. ირლანდიელთა აქტიურ პრესინგს შედეგი ყოველთვის გამოჰქონდა და მეტოქის ნახევარზე გადასვლას იშვიათად ვახერხებდით და იქვე ვკარგავდით ბურთს.

ირლანდიამ დაწოლა პირველივე წუთებიდანვე დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე ანგარიშის გახსნის მშვენიერი შანსიც მიეცათ, მაგრამ გიორგი ლორიამ არ გაატანინა. საქართველოს ნაკრებმა კარის ჩარჩოში პირველად 26-ე წუთზე დაარტყა, როდესაც კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი გიორგი ქვილითაიამ დაუხვედრა, მაგრამ ამით ირლანდიელთა კართან დიდი ხიფათი არ შექმნილა.

32-ე წუთზე კი მატჩი მცირე ხნით შეწყდა და ტრიბუნებიდან ქომაგებმა ჩოგბურთის ბურთები გადმოყარეს. ამით მათ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ პროტესტი გამოხატეს, რადგან თვლიან, რომ საქმე ისე ვერ კეთდება, როგორც საჭიროა.

ამ დროს საქართველოს კარის მიმართულებით ჯარიმა იყო დანიშნული. 3-წუთიანი პაუზა საგოლე გამოდგა. გიორგი ლორიამ ვერც ცოცხალი კედელი დააყენა საჭირო დონეზე, მოძრაობაც დააგვიანა და კონორ ჰორიჰანმა შესანიშნავად ისარგებლა. აქ ცოცხალ კედელში მყოფი კვირკველიას დანაშაულიც არის. მოკლედ, კომპლექსური შეცდომა უმარტივეს სიტუაციაში.

ტაიმის მიწურულს ანგარიშის გათანაბრების იდეალური შანსი გვქონდა – მეტოქის საჯარიმოში ბურთი ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფ ვაკო გვლიას მიუვიდა, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმული მეკარე რენდოლფმა უკუაგდო, ხოლო დამატებაზე გიორგი ქვილითაიამ ვერ ივარგა.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა ერთი-ორჯერ ქართველმა ფეხბურთელებმაც „უჩხვლიტეს“. ყველაზე სახიფათო მომენტი კი, 83-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც ჯაბა კანკავას დარტყმული ძელმა აისხლიტა. ესეც კომბინაციას არ მოჰყოლია, უბრალოდ, შორიდან გაისროლა.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებმა ევრო 2020-ის შესარჩევ ეტაპზე ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა, ხოლო ირლანდიასთან მე-10 მატჩში უკვე მეცხრედ წააგო.

დ ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრები გამოდის, მეორე შეხვედრაც შედგა. ბაზელში, შვეიცარიამ დანიას უმასპინძლა.

დანიისთვის ეს პირველი მატჩი იყო მიმდინარე შესარჩევ ციკლში, ხოლო შვეიცარიას შანსი ჰქონდა, თბილისში გამარჯვების შემდეგ მორიგი 3 ქულა მოეპოვებინა. პრინციპში, თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე სხვა პროგნოზის გაკეთება წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ საოცრება მოხდა.

შვეიცარია რემო ფროილერის გოლით დაწინაურდა და მეორე ნახევარში უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა. ჯერ გრანიტ ჯაკამ შეაგდო, მერე ბრილ ემბოლომ და ვლადიმირ პეტკოვიჩის გუნდი 76-ე წუთისთვის სკანდინავიელებს 3:0 ამარცხებდა.

ეს ანგარიში 84-ე წუთამდე კიაფობდა, მაგრამ დარჩენილ დროში მატიას იორგენსენმა, კრისტიან გიტკაიერმა და ჰენრიკ დალსგაარდმა ანგარიში გაათანაბრეს – 3:3.

სატურნირო ცხრილი:

1.ირლანდია	2	2	0	0	2:0	6
2.შვეიცარია	2	1	1	0	5:3	4
3.დანია	1	0	1	0	3:3	1
4.გიბრალტარი	1	0	0	1	0:1	0
5.საქართველო	2	0	0	2	0:3	0

ახალგაზრდული ნაკრების მეორე გამარჯვება

საქართველოს 21-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა წლის მე-2 ამხანაგური მატჩი გამართა. გია ცეცაძის გუნდი ამჯერად ისრაელს დაუპირისპირდა და 2:1 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ სანაკრებო პაუზის დროს, ჩვენმა ახალგაზრდებმა პირველ ამხანაგურ მატჩში სლოვენიას 3:0 მოუგეს.

ისრაელთან შეხვედრაში ანგარიში სტუმრებმა მე-16 წუთზე გახსნეს: ოფრი არადმა თავისიანები დააწინაურა.

საქართველოს ნაკრებმა სიტუაცია მეორე ტაიმში გამოასწორა. 56-ე წუთზე ლუკა ლოჩოშვილმა გაათანაბრა.

მალევე მსაჯმა მოედნიდან ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი გააძევა და სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ. 10 კაცით დარჩენილ ისრაელს გამარჯვების გოლი 76-ე წუთზე გავუტანეთ, როდესაც გიორგი არაბიძემ თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 2:1 იმარჯვა.

გია ცეცაძემ ისრაელის ნაკრებთან გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

გუგეშაშვილი, ბერიაშვილი, ლოჩოშვილი (ძებნიაური 90), კობოური, მალი (სილაგაძე 90), ქოჩიაშვილი, ნინუა (კუცია 66), ლაკვეხელიანი (ჩოგაძე 73), არდაზიშვილი (ბუღრიძე 46), ქავთარაძე (დავითაშვილი 66), არაბიძე (სპანდერაშვილი 90).

უკრაინა შარშია, პორტუგალია ფიფაში ჩივის

შესაძლოა, უკრაინის ნაკრებს განვლილ ორივე შესარჩევ მატჩში წაგება ჩაუთვალონ. არადა, 4 ქულა აიღეს: 0:0 პორტუგალიაში, 2:1 ლუქსემბურგში.

საქმე ეხება ბრაზილიელი ჟუნიორ მორაესის ნატურალიზებას. მორაეშმა უკრაინის ნაკრებში ითამაშა და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას ფიფაში შეაქვს სარჩელი – უფლება არ ჰქონდაო...

ფიფას რეგლამენტით, ნატურალიზებული ფეხბურთელი ზედიზედ 5 წელი უნდა ცხოვრობდეს კონკრეტულ ქვეყანაში (ამ შემთხვევაში უკრაინაში). ჟუნიორ მორაესი კიევის დინამოში 2012 წელს გადავიდა, მაგრამ 4 წელიწადსა და 8 თვეში იჯარით გაუშვეს ჩინურ ტიანცზინ ტედაში. ანუ, ზედიზედ 5 წელი არ უცხოვრია უკრაინაში.

პორტუგალიური გამოცემების ცნობით, თუკი მსოფლიო ფეხბურთის მმართველები მაქსიმალურად მკაცრ სასჯელს მიმართავენ, უკრაინის ეროვნულ ნაკრებს ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო მატჩებში, პორტუგალიასა და ლუქსემბურგთან, რომლებთანაც მორაესმა ითამაშა, ტექნიკური წაგება ჩაეთვლება.

მორაეშმა უკრაინული კარიერა 2012 წელს დონეცკის მეტალურგში დაიწყო, შემდეგ კიევის დინამოში გადავიდა, საიდანაც ჩინეთში იჯარის წესით გაუშვეს. აზიიდან ისევ დინამოს დაუბრუნდა, ხოლო მიმდინარე სეზონის დასაწყისში დონეცკის შახტარს მიაშურა.

მორაესმა უკრაინის მოქალაქეობა 18 მარტს მიიღო, მომდევნო დღეს კი, 31 წლის ფეხბურთელი უკვე ნაკრებში გამოიძახეს. ანდრეი შევჩენკოს გუნდმა ევრო 2020-ის შესარჩევ ციკლში, 22 მარტს, სტუმრად პორტუგალიასთან ფრედ ითამაშა (0:0), 25-ში კი ლუქსემბურგს ანგარიშით 2:1 სძლია და 2 ტურის შემდეგ, 4 ქულით ბ ჯგუფს ლიდერობს. თუმცა...

უკრაინელი იურისტები პორტუგალიური მხარის პრეტენზიებს უსაფუძვლოს უწოდებენ და აცხადებენ, რომ უკრაინაში წლის განმავლობაში უწყვეტ ცხოვრებად, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე 183 დღის გატარება ითვლება, ფიფა კი საფეხბურთო მოქალაქეობის მინიჭებისას, კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობას ითვალისწინებს. იმ წელიწადში, როდესაც ჩინეთში იჯარით გამოდიოდა, მორაესმა უკრაინის ტერიტორიაზე ჯამში 183-ზე მეტი დღე მაინც დაჰყო და უკრაინელი ადვოკატების თქმით, შესაბამისად, დარღვევა არ დგინდება.

მსოფლიოს ჩემპიონი თუშიშვილი დისკვალიფიცირებულია

ქართველი მძიმეწონოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი გურამ თუშიშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის დებულების დარღვევის გამო 2-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამის მიზეზი გახდა გურამ თუშიშვილის მონაწილეობა ყაზახეთში შარშან გამართულ კურაშის (ყაზახური ჭიდაობა) მსოფლიოს ჩემპიონატზე. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ახალი დებულების თანახმად, ძიუდოისტებს, რომლებიც არიან საერთაშორისო რეიტინგში, ეკრძალებათ სპორტის სხვა ძალისმიერ სახეობებში მონაწილეობა. თუშიშვილმა ორთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომლის ათვლა 25 მარტიდან დაიწყება.



საერთაშორისო ფედერაციის სანქციის გამო, თუშიშვილს თბილისის, ანთალიისა და ჰოჰოტის გრან პრისა და ბაქოს გრან სლემის გამოტოვება მოუწევს. საერთაშორისო ტატამს კი, ივნისში, მინსკში გასამართ მეორე ევროპულ თამაშებზე დაუბრუნდება.

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთის ტურნირი ქართველი ძიუდოისტისთვის სკანდალური გამოდგა. გურამი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მასპინძელ ნუგიმაროვს შეხვდა და მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით დამარცხდა, რის გამოც პროტესტის ნიშნად, ხალიჩა ისე დატოვა, მეტოქეს არც ხელი ჩამოართვა და არც გამარჯვება მიულოცა. გურამმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელებაც არ ისურვა.

ჩემპიონთა ლიგა ცვლილებებისთვის ემზადება

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შეიცვლება. ტოპ-კლუბების კავშირის პრეზიდენტმა, იუვენტუსის ბოსმა ანდრეა ანიელიმ განაცხადა, რომ ცვლილებები სურთ.

2024 წლამდე ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის ფორმატის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ 2024 წლიდან ხელ-ფეხი ეხსნებათ და რეფორმაც გარდაუვალი ჩანს.

ანიელის თქმით, ფორმატის რამდენიმე ვერსია იქნება და ფეხბურთის გულშემატკივრები საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს 12-18 თვეში უნდა ელოდონ. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩები შაბათ-კვირას გაიმართოს და ამ თემაზე მსჯელობა უკვე დაწყებულია.

უიქენდზე თანაშების ჩატარება სატელევიზიო მოთხოვნებს გაზრდის, რაც კლუბებისთვის დამატებითი შემოსავალია.

ასევე საუბარია იმაზე, რომ ჩემპიონთა ლიგაში გუნდები 2024 წლიდან აღზევება-დაქვეითების პრინციპით უნდა მოხვდნენ. როგორც იცით, კლუბები ჩემპიონთა ლიგის საგზურს ახლა ეროვნულ ჩემპიონატში გარკვეული ადგილის დაკავებით ინაღდებენ. თუ ეს წესი შეიცვლება, სუპერლიგას დაემსგავსება და პატარა კლუბებს ელიტაში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, აღარ ექნებათ.

ბასილაშვილი მაიამის მასტერსს დაემშვიდობა

მაიამის მასტერსის მერვედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილი კანადელ ფელიქს ოუე ალიასიმს (57) შეხვდა. მე-17 ნომრად განთესილი ქართველი ორ სეტში დამარცხდა – 6:7 (4:7), 4:6.

პირველ სეტი ერთ საათს გაგრძელდა. ბასილაშვილს ჩინებული შანსი ჰქონდა მოსაგებად. რამდენჯერმე შეეძლო მეტოქის მოწოდების აღება. საბოლოოდ, ეს ბოლოსწინა, მე-11 გეიმში მოახერხა, მაგრამ იქვე წააგო საკუთარი მოწოდება, ხოლო ტაი ბრეიქზე კანადელმა იმარჯვა.

მეორე სეტის დასაწყისშივე ბასილაშვილმა საკუთარი მოწოდება დათმო. თუმცა, მაინც მოახერხა დაბრუნება და ანგარიშიც გაათანაბრა – 3:3. თითქოს გამოუცდელ კანადელთან თამაში უნდა შემოებრუნებინა, მაგრამ იქვე დაუთმო უპირატესობა.

მარცხის მიუხედავად, ორშაბათს ნიკოლოზ ბასილაშვილი ახალ რეიტინგში 1930 ქულით მისთვის რეკორდულ მე-17 ადგილზე იქნება.

შედეგები

26 მარტი

ფეხბურთი

ევრო-2020. შესარჩევი ეტაპი

სომხეთი-ფინეთი	0:2
ბოსნია-საბერძნეთი	2:2
ირლანდია-საქართველო	1:0
იტალია-ლიხტენშტეინი	6:0
მალტა-ესპანეთი	0:2
ნორვეგია-შვედეთი	3:3
რუმინეთი-ფარერები	4:1
შვეიცარია-დანია	3:3

ამხანაგური მატჩები

ს.კორეა-კოლუმბია	2:1
ემირატები-სირია	0:0
ერაყი-იორდანია	3:2
კოტ დივუარი-ლიბერია	1:0
ნიგერია-ეგვიპტე	1:0
მაროკო-არგენტინა	0:1
ალჟირი-ტუნისი	1:0
გიბრალტარი-ესტონეთი	0:1
ჩეხეთი-ბრაზილია	1:3

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკელმა საფულეს დალაგების დროს მომგებიანი ლატარიის ბილეთი იპოვა

ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა თავისი გატენილი საფულეს დალაგება გადაწყვიტა, რა დროსაც მასში ლატარიის ბილეთი იპოვა, რომელსაც 1,2 მილიონი დოლარი ჰქონდა მოგებული.

აზარტული თამაშების 50 წლის მოყვარულმა აღიარა, რომ ხშირად ყიდულობდა მულტი-მატჩის ლატარიის ბილეთებს, თუმცა მათ თვეში ორჯერ თუ ამოწმებდა, როდესაც გადავსებულ საკუთარ საფულეს ალაგებდა.

ამერიკელის მტკიცებით, მან მულტი-მატჩში მსხვილი მოგების შესახებ ნაცნობისგან შეიტყო. ის შიშობდა, რომ იღბალი მას გვერდს აუვლიდა და ამიტომ გათამაშების შედეგების შემოწმებას აყოვნებდა. ორი თვის შემდეგაც კი გათამაშების გამარჯვებული არ გამოჩენილა და მაშინ გადაწყვიტა მამაკაცმა, ოდესღაც ნაყიდი ბილეთი მოეძებნა და შეემოწმებინა.

აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მომგებიანი ბილეთი მის საფულეში იდო.

– არცთუ ურიგო დაბანდებაა რვა დოლარის, – ხუმრობით განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა. ამერიკელი აპირებს, მოგებული ფულით ვალები გაისტუმროს, სახლი იყიდოს და სამოგზაუროდ წავიდეს.

111 წლის ამერიკელი ყოველდღე სპორტდარბაზში დადიოდა

ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა 111 წლის მამაკაცი, რომელიც აშშ-ის ყველაზე უხუცეს მცხოვრებად ითვლებოდა.

ჰენრი ტსენგი ერიდებოდა ალკოჰოლს, სიგარეტსა და ნარკოტიკებს, ზომიერად იკვებებოდა და მულტივიტამინებს იღებდა. მისი შეხედულებით იმისთვის, რომ დიდხანს იცოცხლო, ყოველდღე უნდა გაიღიმო, უმნიშვნელო რამეებზე არ ინერვიულო და რეგულარულად ივარჯიშო.

– რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო მეტად უნდა ივარჯიშო, – ამბობდა ამერიკელი დღეგრძელი.

როდესაც ტსენგი 80 წლის იყო, ის თავზე დგომში გადადიოდა, 90 წლის ასაკში საცეკვაო აერობიკაზე დადიოდა, რომელიც დილის შვიდის ნახევარზე იწყებოდა. ბოლო წლებში მას ინვალიდის ეტლით უწევდა გადაადგილება. ამის მიუხედავად, ყოველდღე 30 წუთის განმავლობაში ველოტრენაჟორის სატერფულებს ატრიალებდა. ის ბოლოჯერ სპორტულ დარბაზს გარდაცვალების წინა დღეს ესტუმრა.

ტსენგი იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში დაიბადა და დიდი ხნის მანძილზე შანხაისა და ჰონკონგში მუშაობდა. ის აშშ-ში 1975 წელს გადავიდა საცხოვრებლად, როდესაც მისმა ქალიშვილმა კალიფორნიის კოლეჯში დაიწყო სწავლა. დღეგრძელობით გამორჩეული იყო მისი მეუღლეც, რომელიც 100 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ტურისტმა საშხაპეში ფარული კამერა დააყენა და გოგონას ულებდა

ჰონკონგელმა ტურისტმა ჰოსტელის საშხაპეში ფარული კამერა დააყენა და მეზობელ გოგონას შხაპის მიღების დროს უთვალთვალებდა.

27 წლის ფრანგმა გოგონამ სიდნეის სასტუმრო სახლში ნომერი დაჯავშნა, რომელშიც მის გარდა კიდევ ერთი მოგზაური ცხოვრობდა.

როდესაც ის შხაპს იღებდა, მან ნიჟარაზე პატარა ჩანთა შენიშნა, რომელშიც, მისი თქმით, ვიდეო კამერა იდო, რომელიც დეზოდორანტში იყო ჩამალული.

ტურისტმა მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა და სამართალდამცავებმა ჰონკონგელი დააკავეს. ჩხრეკის დროს პოლიციელებმა მის ნივთებში ბევრი მყარი დისკი აღმოაჩინეს, რომლებზეც ფარულად გადაღებული სხვა ქალების ვიდეოჩანაწერები ინახებოდა.

მას ჩამწერი მოწყობილობის უკანონოდ დაყენების და გამოყენების ბრალდება წაუყენეს.

გასინჯვაზე მისულ მამაკაცს შეცდომით წინადაცვეთა გაუკეთეს

ბრიტანეთის ქალაქ ლესტერში ქირურგებმა, რომლებსაც ავადმყოფების ისტორიები აერიათ, წინადაცვეთა გაუკეთეს მამაკაცს, რომელიც ცისტოსკოპიაზე – საშარდე ბუშტის შიდა ზედაპირის გასინჯვა, იყო მისული. ექიმებს ის სხვა პაციენტში აერიათ.

საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა კომენტარი გაეკეთებინა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ასეთი შეცდომის დაშვება და ეს შემთხვევა თავად მამაკაცმა რატომ არ გააპროტესტა.

ახლა ეს ისტორია იმ მოვლენების სიაშია შესული, რომელიც „არასოდეს უნდა მომხდარიყო“.

ინფორმაცია ამ ინციდენტის თაობაზე ჯანმრთელობის ეროვნულ სამსახურს დაუმალეს. შეცდომის შესახებ ლესტერის სამედიცინო დაწესებულებების შემოწმების კომისიის ანგარიშიდან გახდა ცნობილი. საბუთებში აღწერილია ის შეცდომები, რომლებიც 2018 წელს ადგილობრივმა ექიმებმა დაუშვეს. აღნიშნული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბავშვს ქირურგიული ჩარევის შემდეგ ცხვირში ტამპონი ჩაუტოვეს, ერთ პაციენტს გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც სხვა პაციენტისთვის უნდა გაეკეთებინათ, მესამეს კი თეძო-წელის იმპლანტი სხვა მხარეს ჩაუდგეს.

ბრიტანელებმა ვირთხები კონტრაბანდაში ჩართეს

ბრიტანელმა დამნაშავეებმა საპატიმროში სხვადასხვა ნივთების შესაგზავნად ვირთხების გამოყენება დაიწყეს.

დორსეტის საგრაფოში მდებარე ციხის თანამშრომლებმა გამოსასწორებელი დაწესებულების ტერიტორიაზე სამი მკვდარი ვირთხა აღმოაჩინეს, რომლებსაც მუცელზე ნაკერები ეტყობოდათ. მათი გაკვეთის შედეგად მღრღნელების მუცლებში აღმოაჩინეს ნარკოტიკები, მობილური ტელეფონი, დამტენი

მოწყობილობა და სიმ-ბარათები.

როგორც გაირკვა, ვირთხები ღობეზე პატიმრების თავისუფლებაზე მყოფმა თანამზრახველებმა გადაისროლეს. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ანალოგიური სახით გამოყენებული იყო ჩოგბურთის ბურთები და მტრედები.

– ეს აჩვენებს, თუ როგორ ექსტრაორდინარულ ძალისხმევაზე მიდიან დამნაშავეები, რათა ციხეში ნარკოტიკები და სხვადასხვა ნივთები შეაგზავნონ, – განაცხადა დიდი ბრიტანეთის ციხეთა მინისტრმა რორი სტიუარტმა.

ბიჭს საწოლზე ხტუნაობა თეძოს მოტეხილობად დაუჯდა

დიდ ბრიტანეთში ბიჭი საწოლზე ხტუნაობდა, როდესაც თეძოს ძვალი მოიტეხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ორი წლის ჰარის ბრაუნი, მორეის ოლქის ქალაქ ფორესიდან, დედის საწოლზე ხტუნაობდა, სანამ ის დალაგებით იყო დაკავებული. მოულოდნელად ქალს უცნაური ხმა შემოესმა, როდესაც ბავშვი ბალიშებზე დაეშვა. მისი მტკიცებით, ამ დროს ბავშვის სხეული ერთ მხარეს შეტრიალდა, ხოლო ფეხი მის საწინააღმდეგო მხარეს. თავდაპირველად ბავშვი ყვიროდა და ტიროდა, შემდეგ კი მოიკუნტა ისე, თითქოს დასაძინებლად ემზადებოდა.

ქალმა ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანა. რენტგენზე გაშუქებამ აჩვენა, რომ ბიჭს სპირალური მოტეხილობა ჰქონდა, მისი თეძოს ძვალი შუაზე იყო გადატეხილი.

– ექიმებს არც კი სმენოდათ, რომ ვინმეს ასეთი მოტეხილობა ჰქონოდა. ის სხეულში ყველაზე დიდი ძვალია და ასე უბრალოდ გადატყდა. ექიმების თქმით, მსგავსი მოტეხილობის მიღება ავარიის, ბატუტიდან ჩამოვარდნის, ან ოჯახური ძალადობის შედეგადაა შესაძლებელი, – აღნიშნა ბავშვის დედამ.

ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მისთვის ოპერაცია არ გაეკეთებინათ. ამის ნაცვლად მისი ტრაქციონული მეთოდით მკურნალობა გადაწყვიტეს. ბრაუნმა სამი კვირა გაატარა საავადმყოფოში სპეციალური სამაგრებით დაფიქსირებული ფეხებით.

ბავშვის დედის თქმით, ექიმებმა მას უთხრეს, რომ მოზრდილი ადამიანის რეაბილიტაციას, როგორც მინიმუმ, ნახევარი წელი დასჭირდებოდა, თუმცა ბიჭი გავლას ორ თვეში შეძლებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 მარტისთვის

ვერძი – დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევით. დიდი ხნის გეგმების განხორციელება იწყება. **კურო** – ყოველგვარ საქმეს მინიმალურ დროში მოაგვარებთ, თანაც ენერგიას დაზოგავთ. ეფექტური და საიმედო დღეა. **ტყუპები** – შემოქმედებით აღმაფრენას განიცდით. დახმარებისთვის ნურავის მიმართავთ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. **კირჩხიბი** – სიტუაციას ადეკვატურად აფასებთ, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში გეხმარებათ. პერსპექტიული დღეა. **ლომი** – ნებისმიერ სიტუაციაში მეგობრები არ დაივიწყოთ. მათი დახმარება დღეს ძალიან გჭირდებათ. **ქალწული** – თუ გსურთ, მიზანს მიაღწიოთ, ძალა და ენერგია არ დაზოგოთ. თუ არ იზარმაცებთ, უთუოდ გაიმარჯვებთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასასვლელად, უძრავი ქონების შესაძენად კეთილისმყოფელი დღეა. შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. **ღრიანკალი** – პასიური დღეა. გარშემომყოფებისადმი ამბიციურობისა და პრეტენზიულობის გამოვლენა არ შეიძლება. **მშვილდოსანი** – გაიფართოვეთ ნაცნობობის წრე. პირად ცხოვრებაში ცვლილებები გესაჭიროებათ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა სავსებით ჰარმონიულია. **მერწყული** – საქმისადმი ზედაპირული და არასერიოზული მიდგომა დაუშვებელია. თვითკონტროლი აუცილებელია. **თევზები** – საქმიან პარტნიორებთან კონტაქტები თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. მძიმე წუთებში დახმარება ახლობლებს სთხოვეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. გერმანული იმპერია; 2. მდინარე ტოკიოში; 3. ავტოდრომი მილანის მახლობლად; 5. ციხე-სიმაგრე ზუგდიდის რაიონში; 6. იაპონური მოტოციკლეტი; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 13. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 14. ნახტომი ბალეტში; 15. ასაკოვანი უცოლშვილო მამაკაცი; 19. ციმბირული ირემი.

თარაზულად: 1. ტბა საქართველოში; 4. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 9. სხვადასხვა ქსოვილის ნაჭრებისგან შეკერილი ტანსაცმელი; 10. ბრაზილიელი მწერალი, პოეტი; 12. ბაბილონის მეფე, კანონთა პირველი კრებულის შემქმნელი; 17. ბოლესლავ პრუსის რომანი; 16. სათამაშო სახლი, კაზინო; 18. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაკი; 2. ჯეზვე; 3. იმაგო; 4. ლუქსი; 5. გილდია; 6. დინამიკა; 8. ფიორენტინა; 10. ფიზიონომია; 11. ნატახტარი; 14. ბუნაგი; 15. ოკრიბა; 16. ბროლა.

თარაზულად: 1. ბორჯომი; 4. ლოგოპედი; 7. კიაზო; 9. ტორფი; 12. მანათი; 13. ტონგა; 14. ბაჩანა; 17. სტრიტი; 18. ჰემოგლობინი; 19. დარნიცა; 20. საფარა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გობი; 6. რუჰანი; 8. ჩაროზი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. გინიოლი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ზინგერი; 7. ნოვრუზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. ბროსნანი; 16. ყინწვისი; 17. კუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი გარდაიცვალა

87 წლის ასაკში თეატრისა და კინოს მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი გარდაიცვალა.

ნოდარ მგალობლიშვილმა ქართულ თეატრსა და კინოში თავისი განუმეორებელი არტისტიზმით დაუვიწყარი როლები შექმნა და მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

– ვნანობ, რომ დიდხანს ვცხოვრობ. არ შეიძლება. იმ დროს უნდა გარდაიცვალო, რომ ადამიანებს დაენანო. როცა იქნება, იყოს, დავუძახებ, მოვდივარ, დამხვდი-მეთქი. ასეა, – ამბობდა მსახიობი.

სამწუხარო ინფორმაცია მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა **მიშა გომიაშვილმა** გაავრცელა:

– წავიდა! დიდი არტისტი! გენიალური პარტნიორი! ქართული თეატრის ლეგენდა! უშიშარი და პირდაპირი კაცი! კარგი მოქალაქე, ასეთ არტისტებს სხვა ქვეყნებში ხელის გულზე ატარებენ, ცივ ნიავს არ აკარებენ, აქ კი... ისე წავიდა, რომ მისი შესაძლებლობის 50%-ც კი ვერ თუ არ იქნა გამოყენებული. ისე წავიდა, ჩუმად, არავინ შეუწუხებია. ვინ იცის, რამდენი დარდი, რამდენი წყენა გაჰყვა, მაპატიე, ბატონო ნოდარ, თუ რამე გაწყენინე. ძალიან მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები. ძალიან მომენატრები. დიდი ხანია მენატრებოდი, როგორც ჩემი ყველაზე მაგარი პარტნიორი. ახლა მომენატრები, როგორც უბრალოდ ნოდარი.

გიორგი გაგლოევი, მსახიობი:

– მახსოვს, პირველად შემხვდა, ვნახე და მითხრა, იცოდე ძალიან გგულშემატკივრობ და მიყვარხარო! ეს ჩემთვის იყო ყველაზე დიდი და დასამახსოვრებელი კომპლიმენტი ნოდარ მგალობლიშვილისგან. „იყავი ის, ვინც ხარ და ეყვარები ყველას“, – ეს იყო ბოლო საუბრის დასასრული.

ნანა ხურითი, მსახიობი:

– ბატონი ნოდარი, ღირსეული ადამიანი და გენიალური არტისტი! როგორ მეიმედებოდა! მეგულებოდა! რამდენი დღეები, საათები, წუთები გამოვიარეთ ერთად! მე და ღილომ დავკარგეთ მეგობარი! ჩვენი თანამოაზრე! როგორ მეამაყებოდა, რომ ახლობლად, მეგობრად გვთვლიდა! რას ვიფიქრებდი ბავშვობაში, რომ ბატონ ნოდარს ასე ახლოს გავიცნობდი. ნათელში იყოს მისი დიდებული, მებრძოლი სული.

ბესო ზანგური, მსახიობი:

– ძალიან, ძალიან დიდი არტისტი დაკარგა საქართველომ, ჩათვალეთ დენირო, ალპაჩინო ჯიბეში ჰყავდა, აი მაგაზე დიდი რანგის! მარლონ ბრანდო! რომ გარდაიცვალა, იმიტომ არ ვამბობ, მასეა ნამდვილად. ძალიან, ძალიან განვიცადე.

გიორგი გასვიანი, მსახიობი:

– ძალიან გულდასაწყვეტი ამბავია ბატონი ნოდარ მგალობლიშვილის გარდაცვალება. ნამდვილი ვარსკვლავი. ერთხელ, ერთ სპექტაკლშიც კი ვითამაშეთ, მე-4 კურსზე ვიყავი. კინომსახიობთა თეატრში „ხალხის მტერი“.. რამდენიმე მის როლს მოვესწარი თეატრის სცენაზე. „მარადი ქმარი“, არაჩვეულებრივი „თეიმურაზი“ იყო ჯაყოში. თავისებური სცენური მაგიურობა ჰქონდა. ძალიან თბილი კაცი. სულ უყურებდა ჩემს „ფაბრიკას“ და მგულშემატკივრობდა. ქართულ სცენას და ეკრანს დააკლდა კიდევ ერთი ნამდვილი ვარსკვლავი. ნათელში იყოს.

ნანა ქავთარაშვილი, ოპერის მომღერალი:

– ძალიან ცუდად ვარ, უდიდესი ხელოვანის და უდიდესი მსახიობის, უაღრესად ძვირფასი და ღირსეული პიროვნების, ჩვენი მეზობლის, ბატონი ნოდარ მგალობლიშვილის გარდაცვალება შევიტყვე! მთელი ჩემი ბავშვობა, კონსერვატორიის წლები და სტუდენტობა, შემდეგ იტალიაში გაცილება და საერთაშორისო საოპერო კარიერა, კონცერტები თუ სპექტაკლები ბატონ ნოდართან არის დაკავშირებული და მის ოჯახთან. მას ძალიან სჯეროდა ჩემი. არც ერთი ჩემი დებიუტი სპექტაკლები თუ კონცერტები თბილისის ოპერის თეატრში არ გამოუტოვებია. ზუსტად ერთი წლის წინაც დამირეკა და ძალიან დიდხანს მესაუბრა ტელეფონზე მშობელი მამასავით, როდესაც შეიტყო, რომ რთული პერიოდი მქონდა ჩემს პროფესიასთან დაკავშირებით. მამხნევებდა და დადებით ენერგიას გადმომცემდა მისი ასეთი სითბო და სიყვარული ჩემ მიმართ! ძალიან განვიცადე მისი გარდაცვალება, ვერ ვიჯერებ! რამდენი კარგი მოგონება მაკავშირებს ბატონ ნოდართან და როგორ გული მეტკინა ვერ აღგიწერთ!

მაია ასათიანი ახალ „პროფილს“ იწყებს

28 მარტიდან მაია ასათიანი და თოქ შოუ „პროფილის“ შემოქმედებითი ჯგუფი ახალ გადაცემას იწყებს.

„პროფილისთვის“ უკვე დამზადდა ახალი ქუდი. გადაღებებიდან მაია ასათიანის თამამი ფოტოს ინტერნეტში გავრცელებას საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, – ნაწილმა ტელეწამყვანის გამბედაობა შეაქო, ნაწილმა კი მას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ შვილმკვდარი დედაა.

„ტოსკას“ პრემიერა ცისანა ტატიშვილს მიეძღვნება

ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთ გამორჩეულ მომღერალს, ცისანა ტატიშვილს სპექტაკლს მიუძღვნიან.

ჯაკომო პუჩინის „ტოსკას“ პრემიერა 5 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება.

საპრემიერო სპექტაკლი ეძღვნება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატის, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერის, ღირსების ორდენოსნის, შვაიცერის საპატიო ორდენის კავალერის ცისანა ტატიშვილის ხსოვნას.

ულამაზესი სოპრანო წლების განმავლობაში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი იყო. 38 წლიანი კარიერის განმავლობაში, არაერთხელ ჰქონდა შესაძლებლობა ევროპის დიდ თეატრებში დარჩენილიყო, თუმცა თბილისის ოპერის თეატრი ერთადერთი იყო, რომელზეც ქალბატონმა ცისანამ არჩევანი გააკეთა.

სტიქიური ენერგია, ულამაზესი ხმა და ექსპრესია კი მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რის გამოც არაერთი მნიშვნელოვანი პარტია აქვს შესრულებული, როგორც თბილისის, ასევე მსოფლიოში ცნობილ საოპერო სცენებზე – ტოსკა, ეთერი, აიდა, ამელია, დეზდემონა, ლეონორა, სენტა, რენატა, ებოლი, ჰერტრუდა, სანტუცა, ლაურეტა, ამნერისი, სალომე და სხვა. ცისანა ტატიშვილი, რიხარდ შტრაუსის „სალომეს“ შესრულებისთვის მსოფლიოს საუკეთესო სოპრანოთა სამეულში დასახელდა.

2010 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წინ ცისანა ტატიშვილის ვარსკვლავი გაიხსნა.

ლეგენდარული მომღერალი 2 წლის წინ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პიანისტი თამარ ბაბილუა – ბაბი ნიუტონი გარდაიცვალა

პიანისტი თამარ ბაბილუა იგივე ბაბი ნიუტონი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი სიმსივნეს ებრძოდა და, სამწუხაროდ, მასთან ბრძოლაში დამარცხდა. ბაბის სიმსივნის დიაგნოზი 2015 წელს დაუდგინეს და განუცხადეს, რომ მხოლოდ 6 თვე იცოცხლებდა, მაგრამ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და მუსიკოსმა სიცოცხლე რამდენიმე წლით გაიხანგრძლივა.

ასეთი მძიმე დიაგნოზის მიუხედავად, ბაბიმ მთელი თავისი ძალები შემოქმედებისკენ მიმართა და ნაოპერაციებმა საქართველოში რეკორდიც დაამყარა, ფორტეპიანოზე 25 საათის განმავლობაში გაუჩერებლად დაუკრა.

თამარ ბაბილუას შემოქმედებიდან ბოლო სიმღერა „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალში გაჟღერდა. ბაბის დაწერილი სიმღერა „ევროვიზიის“ რეპერტუარის შესარჩევი კონკურსის საუკეთესო სამეულში მოხვდა.

„მე მჯერა“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალში გიორგი ფრუიძემ შეასრულა. პროექტის დასრულების შემდეგ კი პირველმა არხმა ბაბი თანამშრომლად აიყვანა, მას პირველი არხის პროექტები მუსიკალურად უნდა გაეფორმებინა.

ინფორმაცია თამარ ბაბილუას გარდაცვალების შესახებ მომღერალმა გიგი ადამაშვილმა გაავრცელა:

– ჩვენმა ბაბიმ დაგვტოვა... ბა, როგორც დაგპირდი, სიმღერას, რომელიც შენ დამიწერე, შენს სახელს დავარქმევ „ბაბი“ და როცა ეს სიმღერა გაჟღერდება, ვიცი გადმომხედავ და გამიღიმებ, როგორც ადრე, როგორც ადრე... სამუდამოდ იქნები ჩემს გულში ბა!

მიშო სულუხია, მომღერალი:

– დღევანდელმა დღემ ძალიან დიდი სტრესი მომცა. საავადმყოფოს კარები რომ გამოვიხურე, ზურგს უკან დამრჩა შენობა, რომელშიც ვინ, როდის, ვისთვის და რამდენი ხნით შევაღებთ ამ კარს, არ ვიცით. ყოველგვარი ტანჯვა და ფიზიკური ტკივილი არაფერი ყოფილა იმასთან შედარებით, როდესაც სამყაროს ისეთი ადამიანი ტოვებს, რომელსაც გარშემო მეგობრების თანატოლების თუ უბრალოდ ნაცნობი ადამიანების ამხელა სიყვარული და თანაგრძნობა მიყვება ამ ქვეყნიდან. ამ ყველაფერს დამატებული ბაბის უსაზღვრო ნიჭი და მუსიკის სიყვარული, რომელმაც მას ამდენი ხანი გააძლებინა ასეთი მძიმე ყოფის ფონზე..... ჩვენს მოგონებაში წარუშლელად რჩება ჩვენი ბაბი. ჩვენი გიჟი მუდამ მომღიმარი, კეთილი და ცხოვრების სიყვარულით სავსე გოგო... ღმერთო, შეუმსუბუქე მის ოჯახს ეს ტკივილი

მარკუს მეტრეველი შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებისთვის მიმართავს

მომღერალი მარკუს მეტრეველი შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებისთვის მიმართავს და სოციალურ ქსელში მისი სახელითა და გვარით მოსარგებლე დამნაშავის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ითხოვს:

– მივმართავ თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დაბლოკოთ და აღკვეთოთ ამ უსაქმური პიროვნების ბოროტი განზრახვები!!!

ემუქრება ახალგაზრდა ბავშვებს, ბიჭებსა და გოგონებს, ასობით ადამიანს სწერს ჩემი სახელით ბინძურ მესიჯებს და ბინძური განზრახვებით ემუქრება მათ!!!

იბრალებს და ატყუებს ასობით ადამიანს, რომ თვითონ არის „მარკუს მეტრეველი“. ეს არის დანაშაული, ეს ადამიანი არის კრიმინალი. ადამიანებს ხვდება ჩემი სახელის გამოყენებით და პატარა ბავშვების ნდობას საშინლად იყენებს!!! მეგობრებო, ძალიან გთხოვთ, ასობით მონაწერი მაქვს თქვენი, ამას ნამდვილად არ დავუთმობდი დროს, თქვენ რომ არ გეთხოვათ!

ვიმეორებ, ეს დეგრადირებული პიროვნება და ხორცის მასა არის მლიქვნელი, რომელიც თქვენი ნდობით სარგებლობს! არ დაუჯეროთ, მე მაქვს მხოლოდ ერთი ოფიციალური გვერდი! გთხოვთ, დაარეპორტეთ!!! მომიტევეთ, თუ ჩემს კომენტარში შეინიშნება აგრესია. მადლობა წინასწარ!

ქალეიდოსკოპი

გამოუცდელ ლეოპარდს მანგუსტები გაექცა

მანგუსტმა ბოლო მომენტში მოახერხა თავის დაღწევა ლეოპარდისგან, რომელიც მასზე ნადირობდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გაავრცელა.

ვიდეორგოლი სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნული პარკის თანამშრომლებმა გადაიღეს. ვიდეოზე ახალგაზრდა ლეოპარდი მანგუსტების გუნდზეა ჩასაფრებული. თუმცა, როგორც პარკის თანამშრომლები თვლიან, გამოუცდელობის გამო, მტაცებელი ვერ ხვდება, რომ მასაც ხედავენ მანგუსტები. ამიტომ ლეოპარდის მიერ შესრულებული ნახტომი მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა და ისინი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. მტაცებელთან ყველაზე ახლოს მყოფმა მანგუსტმაც კი მოახერხა გაქცევა.

ვიდეოს ფონზე ისმის პარკის თანამშრომლების საუბარი, რომლებიც მანგუსტების გამო ნერვიულობენ და ლეოპარდის გადაწყვეტილებას, ისინი ახლოს მიუშვას, „არცთუ ურიგო ნაბიჯს“ უწოდებენ. ვიდეოს კომენტარში კი პარკის თანამშრომლებმა იმედი გამოთქვეს, რომ დროთა განმავლობაში მტაცებელი თავის ნადირობის ჩვევებს დახვეწს და შემდეგში უფრო წარმატებით ინადირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ნიანგმა მეთევზეებს დაჭერილი თევზი შეუჭამა

ავსტრალიის ქალაქ დარვინის მახლობლად მეთევზეები დაკი და დენიელი წყალსატევში თევზს იჭერდნენ. ამ მოვლენის ამსახველ ვიდეოს კადრში ჩანს, რომ ერთ-ერთი ავსტრალიელს წყლიდან ზღვის თეთრი ოკუნი ამოჰყავს. ამ დროს ნაპირზე გამოჩნდა ოთხმეტრიანი ნიანგი და დაჭერილი თევზისკენ გაქანდა.

– ის თევზს სულ უფრო და უფრო სწრაფად ეწეოდა, ნიანგი კი მას სიჩქარეში არ ჩამორჩებოდა, – იხსენებს დაკი, – მე დენიელის მხარეს არ ვიყურებოდი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ იმ ადგილს თავს სირბილით გაეცლებოდა.

ვიდეოს ბოლო წამებზე, რეპტილიამ მაინც ჩაავლო პირი თევზს, გადაყლაპა და იქვე ბალახებში დარჩა.

აღნიშნული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა. ბევრმა ინტერნეტ-მომხმარებელმა მეთევზეების ქცევას გაუაზრებელი და სარისკო უწოდა. თუმცა თავად მეთევზეები ირწმუნებიან, რომ სიფრთხილის ყველა წესს იცავდნენ და უსაფრთხო მანძილს იცავდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.6892
- ევრო — 3.0453
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5581
- 100 რუსული რუბლი — 4.1878

ამინდის პროგნოზი 28 მარტისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

26 მარტიდან

იროდიონ ევდოშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ბრიტანელმა სანაგვეში ჩერჩილის ქუდი და პორტსიგარი იპოვა

დიდ ბრიტანეთში ნაგავსაყრელის თანამშრომელმა დევიდ როუზმა ნაგავში იპოვა ნივთები, რომლებიც ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნოდა.

როუზმა, რომელიც 15 წელია მუშაობს ნარჩენების დამხარისხებელ ცენტრში, პოლიტიკოსის ქუდი, პორტსიგარი და სიგარა იპოვა. გარდა ამისა, მან ასევე იპოვა დაახლოებით 200 წერილისგან შემდგარი შეკვრა, რომელსაც პრემიერის მზარეული თავის შვილს სწერდა. როგორც როუზი ამტკიცებს, მათში ჩერჩილი სრულიად მოულოდნელი მხრიდანაა აღწერილი.

– ის შვილს ყოველდღე სწერდა უინსტონ ჩერჩილის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, მის გატაცებაზე, განწყობაზე და უბრალოდ, ყოველგვარ საინტერესო ფაქტებზე მის შესახებ, – განაცხადა როუზმა წერილებთან დაკავშირებით.

როგორც გაირკვა, ჩერჩილმა თავისი ნივთები მზარეულს აჩუქა კარგად მუშაობისთვის. საჩუქარს თან ერთვოდა პრემიერის მიერ ხელმოწერილი მისივე ფოტოსურათი.

მამაკაცმა ნაპოვნის შესახებ ექსპერტ-ანტიკვარებს უამბო. მათ მათი ნამდვილობა დაადასტურეს და ათი ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასეს. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, სწორედ წერილებმა დაარწმუნეს ისინი ნაპოვნი ნივთების ნამდვილობაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

რესტორანში ქალი მამაკაცს ეუბნება:

– ისეთი რამე მითხარი, რომ სული ამიფორიაქო.

– რესტორანში შენი ქმარი შემოვიდა.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– ამ საღამოს ხომ არ შევხვდეთ?

– რა საღამოს, გათხოვილი ქალი ვარ, თუ გინდათ, ახლავე.

●●●

პენსიონერი მამაკაცი გამყიდველ გოგონას ეკითხება:

– შვილო, რა ღირს ის კბილის პასტა?

– 10 ლარი ბაბუა.

– „ვედრო“?

●●●

მეგობრები დამწუხრებულ გივის ეკითხებიან:

– რა დაგემართა?

– ცოლმა სახლიდან გამომაგდო?

– შენ რა, ცოლი მოიყვანე?

– მე ხომ არ მითქვამს, რომ ჩემმა ცოლმა?!

●●●

1980 წელი – მომავალი მშვენიერი იქნება.

1990 წელი – მომავალი მშვენიერი იქნება.

2019 წელი – წარსული მშვენიერი იყო.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ახალგაზრდობაში რითი იყავით გატაცებული, ყველაზე მეტად რისი კეთება გიყვარდა?

– ნადირობა და ქალები!

– და ვისზე ნადირობდი?

– ქალებზე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჯადოსნურ საშუალებას მივაგენი.

– რა ჯადოსნურ საშუალებას?

– ცოლს ვუთხარი, რომ დედამისი გიჟია და ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა.

– მერე?

– მეორე ერთი კვირის თავზე ისევ ვუთხარი, რომ დედამისი გიჟია და კიდევ ერთი კვირა დავისვენებ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯო გომესი მალე მოედანს დაუბრუნდება

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ჯო გომესმა ვარჯიში განაახლა და მალე ის მოედანს დაუბრუნდება.

გომესს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა ტრავმა და მან თითქმის სამი თვე გამოტოვა. გომესის არყოფნის გამო ლივერპულს დაცვაში პრობლემები შეექმნა, რადგან გომესი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო.

ჯერჯერობით უცნობია ზუსტი თარიღი, თუ როდის დაბრუნდება მოედანზე ჯო გომესი, თუმცა ეს მალე მოხდება.

გაბრიელ ჟესუსმა ბრაზილიის ნაკრებში დუბლი შეასრულა

ბრაზილიის ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში ჩეხეთის ნაკრები დაამარცხა 3:1. შეხვედრა ჩეხეთში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი ჩეხებმა გაიტანეს, თუმცა რობერტო ფირმინომ წონასწორობა მალე აღადგინა, შემდეგ კი მანჩესტერ სიტის ფორვარდმა გაბრიელ ჟესუსმა შეძლო ორი გოლის გატანა.

ბრაზილიის ნაკრები აქტიურად ემზადება კოპა ამერიკისთვის, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდება. ტურნირი სტარტს 14 ივნისს აიღებს და 7 ივლისამდე გაგრძელდება.

ჟერარ პიკე: „ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ბარსელონაში უკეთესად ვთამაშობ“

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ ესპანეთის ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ იქიდან წამოსვლას არ ნანობს.

პიკეს თქმით, მას შემდეგ, რაც ის ნაკრებიდან წავიდა, მან ბარსელონაში უკეთესად დაიწყო თამაში.

– როდესაც გადავწყვიტე, რომ ესპანეთის ნაკრებში აღარ მეთამაშა, ამის მიზეზი მქონდა. ვიცოდი, რომ ნაკრებისგან უნდა დამესვენა და ჩემს გადაწყვეტილებას არ ვნანობ. ვფიქრობ, მას შემდეგ ბარსელონაში უკეთ ვთამაშობ, – განაცხადა პიკემ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

აღგზნებული სპილო დასახლებაში შეიჭრა და მანქანა გადააყირავა

ჩინეთის პროვინცია იუნანში გარეული სპილო დასახლებაში შეიჭრა, დააზიანა შენობა-ნაგებობები და მანქანა გადააყირავა. თვითმხილველების მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

პირველ ვიდეოზე ცხოველი ქუჩაში მიდის და ფეხით მოსიარულეებს იძულებულს ხდის, თავს გაქცევით უშველონ. მეორე ვიდეორგოლში ნაჩვენებია გადაყირავებული ავტომობილი.

– სპილომ თავშეკავება დაკარგა და მანქანა გადააყირავა, – აცხადებს კომენტარში ვიდეოს ავტორი.

თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ სპილოს შეწყვილების პერიოდი ჰქონდა, ამ დროს კი ეს ცხოველები განსაკუთრებით აგრესიულები ხდებიან. როგორც ჩანს, მან მდედრი სპილო ვერ მოძებნა და მთელი თავისი აგრესია სახლებსა და მანქანებზე მიმართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. მოწითალო ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. ალპინისტთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 3. უმცროსი მატროსი გემზე; 4. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 5. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 6. მჭერმეტყველების თეორია; 8. სიჩქარის საზომი ხელსაწყო ავტომობილში; 10. ნაღვლიანი განწყობილება; 11. მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი; 14. რეგიონი კახეთში; 15. იტალიელი კინორეჟისორი; 16. ავღანეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა.

თარაზულად: 1. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 4. ლითონის, ხის ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატი; 7. მუზეუმი პარიზში; 9. მუსლიმან მამაკაცთა თავსაბურველი; 12. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 13. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. სატუსაღო ძველ თბილისში; 18. საქართველოს ეროვნული გმირი; 19. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 20. მუსლიმანთა წმინდა წიგნი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა